პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1977 ოთხშაბათი 7 დეკემბერი № 285 (17025) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

**რუსთაველთა თაოსნობა საყოველთაო-სახალხო პატრიოტულ მოძრაობად იქცა**

## სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას — კომპლექსური მიდგომა!

**რუსთაველთა თაოსნობით გაფლილი საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების გაბოცდილების შესახებ ღღეს ჩვენი გაზეთის მესამე გვერდზე გვესაუბრებიან „კომუნისტის“ დაუნდობელი პრესკონფერენციის მონაწილენი.**

# პატრიოტული თაოსნობის ძალა

ელიწადი და ხუთი თვე გვაშორებს იმ ღირსსახსოვარ დღეს — 1976 წლის 7 ივლისს, როცა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებიდან გაისმა მეტალურგთა მოწოდება საქართველოს მშრომელებისადმი — არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენ გვერდით!

ასე დაიბადა ახალი დიდი თაოსნობა. იგი მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მალე საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებად აზვირთდა, რესპუბლიკის ცხოვრების უკლებლივ ყველა სფერო, ყველა უბანი და მუშაობის ყველა რგოლი მოიცვა.

იგი არა მარტო მრეწველობისა და ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის, არამედ სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების, მედიცინისა და ხელოვნების მუშაკთა კუთვნილებად იქცა. იგი ეშშარიტად საყოველთაო-სახალხო მოძრაობა გახდა.

ერთი მხრივ, ამ თაოსნობის დიდი წარმატება და ფართო აღიარება იმან განაპირობა, რომ იგი სწორედ იმ მარადსახსოვარ, პოლიტიკური და შრომითი ენთუზიაზმით აღსავსე პერიოდს დაემთხვა, როცა მთელმა საქართველომ უდიდესი მადლიერების გრძნობით აღიქვა ახლა უკვე საერთო-პარტიულ დოკუმენტად აღიარებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ, რომლის მსგავსი მანამდე არ ახსოვს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ისტორიას. დიდი ხალხთოთი და მზრუნველობით გამსჭვალულ ამ დადგენილებაში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეულ დიდ პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას, რომელიც მათ რესპუბლიკაში ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისა და მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, მუშაობაში ლენინური სტილის დასამკვიდრებლად გაიჩაღეს.

ამავე დროს, ამ დოკუმენტით დაინახა შემდგომი დიდი მუშაობის ამოცანები, სტრატეგიული მიმართულება უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადასაწყვეტად. მასში ნათქვამი იყო, რომ საჭიროა „ბრძოლა ბიუროკრატიზმის, უპასუხისმგებლობის... ყინაულმდეგ. უნდა განმტკიცდეს სახელმწიფო დისციპლინა, კაცობები აღიზარდოს იმ სულისკვეთებით, რომ სახალხო-სამეურნეო გეგმებს ყველა მაჩვენებლით უთუოდ ასრულებდეს ყველა უბანი, ყველა კოლექტივი“.

და ქართველ მეტალურგთა ინიციატივა იყო საქართველოს მუშათა კლასის სახელით ნათქვამი პირველი დიდი საქმიანი პასუხი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებაზე.

მეორე მხრივ, მეტალურგთა თაოსნობა იყო თბილისის კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დადგენილების შესრულებისათვის წესრიგის და დისციპლინის განსამტკიცებლად რესპუბლიკაში მიმდინარე ძირეული გარდაქმნების ლოგიკური განვითარება. ეს იყო ამ გარდაქმნების მიერ მომზადებულ ნოყიერ ნიადაგში გადაგდებული ის თესლი, რომელმაც შესანიშნავი ყლორტები, სიახლის ყლორტები ამოიყარა და კარგი ნაყოფიც გამოიღო.

„არაფერი იცე არ ამაღლებს პიროვნებას, — ამბობს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — როგორც პარტიული, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულება, როცა სიტყვისა და საქმის ერთიანობა ყოველდღიური ძალვის ნორმა ხდება“. და ამ თაოსნობის მნიშვნელობა ისიც არის, რომ იგი შეჯიბრებაში აბამს უკლებლივ ყველას, ხოლო პასუხისმგებლობას კი აწესებს პრინციპით: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის.

ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედში განუზომლად დიდია მეტალურგთა თაოსნობის როლი და მნიშვნელობა. სოციალისტური დისციპლინის განმტკიცება და მუშაობის ხარისხის ამაღლება მჭიდროდ დაკავშირებული კატეგორიებია. ისინი უერთმანეთოდ წარმოუდგენელია — ერთი მედლის ორი მხარეა. ამიტომ სოციალისტური დისციპლინისათვის ბრძოლა ხარისხის, სტანდარტის, სახელმწიფო და საგეგმო დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლასაც ნიშნავს.

სოციალისტური დისციპლინის დამკვიდრებისათვის გეგმაზომიერი და მიზანდასახული მუშაობის მკაფიო მაგალითს იძლევიან თვით ინიციატორები — პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი და მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტი, რომელიც ადმინისტრაციასთან, პროფკავშირულ და კომკავშირულ კომიტეტებთან ერთად ფართო ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან. როგორც ქარხანაში, ისე ქალაქის მასშტაბით შექმნილია სოციალისტური დისციპლინისა და ხარისხის მართვის ღრმად მოფიქრებული, მეცნიერული საწყისებზე დამყარებული ერთიანი, ფართოდ განშტოებული კომპლექსური სისტემა. მოძებნილია შეჯიბრების ხელმძღვანელობის ახალი ფორმები და საშუალებები, შემოღებულია მატერიალური და მორალური წახალისების დამატებითი სახეები. უზრუნველყოფილია შეჯიბრების ფართო საჯაროობა. ამ საქმიანობაში ჩაბმულია ინფორმაციის ყველა საშუალება.

სოციალისტური დისციპლინისათვის ბრძოლამ მაშინ აქვს აზრი, როცა იგი კონკრეტულ, რეალურ, განვითარებულ სახეს იღებს და ხალხთა კეთილდღეობას ხმარდება. ამჟამად რუსთავის მრეწველობის ოცი სახეობის და მეტალურგიული ქარხნის ექვსი სახეობის პროდუქციას სახელმწიფო ხარისხის ნიშანი აქვს მინიჭებული, თანამონობის დაწყებამდე კი არც ერთს არ ჰქონდა. უკვე მეთხუთმეტე კვარტალია ქარხანა ზედიზედ ინარჩუნებს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის გარდამავალ წითელ დროშას. საწარმომაც და ქალაქის მრეწველობამაც ვადამდე განაღლდეს ზეგეგმათი პროდუქციის გამოშვების საიუბილეოდ ნაკისრი წლიური ვალდებულებანი. ახლა ქალაქში ერთადერთი ჩამორჩენილი საწარმოა, შარშან ამ დროს კი შვიდი იყო. გამცდენთა რიცხვი შემცირდა 33 პროცენტით, ხოლო სამუშაო დროის დანაკარგები — 9 პროცენტით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გააფართოა პარტიული კომიტეტები, არ დაეშვა მეტალურგთა თაოსნობის არსის დამახინჯება. და საქმიანი მუშაობის მაგვარად არ მომყოლოდნენ ზოგად მოწოდებებს, უნიადაგო ვალდებულებების წერას და უნაყოფო ფრაზეორობას დისციპლინის შესახებ. და ამის მიუხედავად, ვერ ვიტყვით, რომ მეტალურგთა თაოსნობა ყველგან ერთნაირი ძალით ინერგება.

ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოთა ხელმძღვანელები, აგრეთვე პარტიის ზოგიერთი საქალაქო და რაიონული კომიტეტი და პირველადი ორგანიზაცია, მთელი შეუბოვრობით ვერ იბრძვიან ყველა შრომით კოლექტივში დისციპლინისა და წესრიგის გამტკიცებისათვის.

ითასთვის, რომ ადამიანები დისციპლინისა და წესრიგის დარღვევებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით აღვზარდოთ, პარტიულმა ორგანიზაციებმა უნარიანად უნდა გამოიყენონ შრომითი კოლექტივების აზრი, პრესის როგორც დადებითი, ისე კრიტიკული სიტყვა, დარწმუნების მეთოდები, კანონის ძალა — ყველა არსებული საშუალება; მკაცრად ადევნონ თვალი, რომ უდისციპლინობის ყველა შემთხვევას დროზე ეხმაურებოდნენ და ობიექტურად და სამართლიანად აფასებდნენ შესაბამისი ორგანიზაციები.

ყოველი რანგის უკლებლივ ყველა ხელმძღვანელი დისციპლინისა და თვითდისციპლინის მისაბაძ მაგალითს უნდა იძლეოდეს საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცება რესპუბლიკის წინაშე დასახული დიდი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტის უტყუარი თავლებია.

# დეკემბრის ყოველი დღე — მზოლოდ დამკვრელური!

### შეჯიბრების დღიური

## ექვინაკვეთა ეაგაკლითი

მთავრდება საიუბილეო წელიწადი. სულ უფრო ფართოვდება შეჯიბრება სახელმწიფო გეგმისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის. ახლა ყოველი დღე, ყოველი საათი ძვირფასია, არც ერთი წუთი უქმად არ უნდა დაიკარგოს, რომ შევძლოთ შევასრულოთ სამშობლოსათვის მიცემული ჩვენი პატრიოტული პირობა — „არც ერთი ჩამორჩენილი კოლექტივი / ჩვენ“ გვერდით!“

რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობით დაწყებულ, ხოლო შემდეგ ქუთაისელ და თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა მიერ გაღრმავებულ ამ მოძრაობაში სულ უფრო მეტი კოლექტივი ებმება, იხვეწება შეჯიბრების ორგანიზაცია, მშრომელთა შინაგანი მოთხოვნილება ხდება მტკიცე საწარმოო დისციპლინა და პირადი მაღალი პასუხისმგებლობა.

საიუბილეო წელიწადს წარმატებით შრომობენ თაოსანი ქალაქის — რუსთავის სამრეწველო საწარმოები და მათ შორის ქიმიური ქარხნის კოლექტივი, რომელმაც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად გეგმის გადამეტებით გამოუშვა 25 ათასი ტონა მინერალური სასუქები.

წლის ბოლომდე დარჩენილი დღეები საწარმოში დამკვრელურად არის გამოცხადებული, ქიმიკოსთა ვალდებულებაა წლევანდელი გეგმის გადამეტებით ათეულ ათასობით ტონა მინერალური სასუქები მისცენ ქვეყანას.

ასეთივე გადიდებული ვალდებულებები აქვს ნაკისრი საქართველოს სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობას, და ამ ვალდებულებების წარმატებით შესრულებაში, მომავალი წლისათვის მზადებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობის სულ უფრო ღრმად შესწავლას და დანერგვას. მეტალურგთა გამოცდილება ყველას საკუთრება უნდა გახდეს.

**სურათებზე:** 1978 წლის ანგარიშში შრომობს უფროსი მეკალარატე, კომუნისტი ა. ენუქიძე; რუსთავის ქიმიური ქარხნის მოწინავე კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა (მარცხნიდან) — დ. მერკვილაშვილი, ვ. სხეტანინა, ე. გოგოძე. ისინი საჯაროოდ შრომობენ საიუბილეო შეჯიბრებაში.

ვ. სოკოლოვის ფოტო (საინფორმაციო ფოტოქრონიკა).



## ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა ფინეთის კომპარტიის ხელმძღვანელებს

ჰელსინკი, 6 დეკემბერი. (საკადესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, რომელიც მეთაურობს საბჭოთა მთავრობის დელეგაციას ფინეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების მე-60 წლისთავის დღესასწაულობაზე, დღეს შეხვდა ფინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებს — ფინეთის კომპარტიის საპატიო თავმჯდომარეს ვ. პესს, ფინეთის კომპარტიის თავმჯდომარეს ა. საარინენს, ფინეთის კომპარტიის ვიცე-თავმჯდომარეს ო. პიანინენს, ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს ე. კოვიმაიასა და უ. იოკინენს.

შეხვედრის დროს, რომელმაც მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, განიხილეს საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის, საერთაშორისო მდგომარეობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ფინეთის კომპარტიის ურთიერთობის საკითხები.

ფინეთის კომპარტიის ხელმძღვანელებმა ალაპარაკეს ფინელ კომუნისტთა საქმიანობაზე, რომელიც მიზნად ისახავს ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, ევროპაში მშვიდობის განმტკიცებას. ა. ნ. კოსიგინმა ფინეთის კომპარტიის ხელმძღვანელებს გააცნო ის მუშაობა, რომელსაც საბჭოთა კომუნისტები ეწევიან სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, საბჭოთა ხალხის მიღწევები კომუნისტურ მშენებლობაში.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრი ნ. ვ. ტალიზინი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი ბ. ტ. ბაცანოვი, სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ვ. ს. სტეპანოვი.

### სოფლის ნობათები

## ვალდებულება განაღდებულია

**საიუბილეო** წელს სასახელოდ იშრომეს ვანის რაიონის მეცხოველეებმა. **მათ ვადაზე ადრე, პირველი დეკემბრისათვის გეგმადავალებით გათვალისწინებული 8.590 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 8.890 ცენტნერი ხორცი, რითაც პირნათლად გაანაღდეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება.**

ხორცის დამზადება გრძელდება. წლის ბოლომდე სახელმწიფოს ვალდებულების გადამეტებით კიდევ მიეყიდება 300 ცენტნერი ხორცი.

ეს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ვანის რაიკომის პირველმა მდივანმა ჯ. **ახმეტელმა** და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. **დვალიშვილმა.**

## ვადამდე

**ახმეტის** რაიონის მშრომელებმა სიტყვა საქმედ აქციეს. გადამეტებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმა. 2.200 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 2.250 ტონა ხორცი, 3.790 ტონის ნაცვლად 3.962 ტონა რძე და 285 ტონის ნაცვლად 305 ტონა მატყლი.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება — ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. **ბატაიშვილმა,** ახმეტის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. **ბასაღიშვილმა.**

## მეგოსტნეთა გარჯა

**ბათუმი.** (საკ. კორ.). აჭარის მებოსტნეებმა ვადამდე 103 პროცენტით გაანაღდეს სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვის გეგმა-დავალება. **ხელვაჩაურის რაიონის მებოსტნეებმა დავალება შეასრულეს 113,5 პროცენტით ქედის — 115,8, შუახევის — 107,1 პროცენტით.**

შარშანდელთან შედარებით დამზადებულია 670 ტონით მეტი ბოსტნეული.

## საკარმიდამოდან

**სიღნაღი.** (საკ. კორ.). ასრულებს რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის გადაწყვეტილებას, მოსახლეობას ღირსეული წვლილი შეაქვს ხორცის წარმოების გაღიდების საქმეში.

ამ დღეებში ვაქირელმა **ალექსანდრე მოსაშვილმა სახელმწიფოს მიჰყიდა პირად მეურნეობაში გამოზრდილი და გახუქებული 6 ღორი, რაშიც 1.158 მანეთი მიიღო.** თითო ტონაზე მეტი ღორის ხორცი მიჰყიდეს სახელმწიფოს საქმოელოებმა **ომარ ლოლაშვილმა, ბაშირ ალიევმა და ზაურ სანდერაშვილმა.** მაღაროელმა **რამაზ უსუფაშვილმა** კი კოლმეურნეობის დამზადების პუნქტს 893 კილოგრამი სქონლის ხორცი ჩაბარა.

ეკ. **მგელიშვილი.**

### 6 დეკემბერი

## „პრავდის“ ფურცლებზე

**წარმოების** ტექნიკური სრულყოფა უდიდესი მნიშვნელობის საქმეა, წერს გაზეთი მოწინავე წერილში („ახალ ტექნიკას — ფართო გზა“), იგი მუდამ უნდა იყოს პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა იმას, რომ აქტიურად დავუჭიროთ მხარი მნიშვნელოვან წინადადებებს, ჩავუნერგოთ თითოეულ მშრომელს ხიბლის გრძნობა, პარტიული პრინციპულობითა და შეურიგებლად მოვეკიდოთ კონსერვატაზმის ყოველგვარ გამოვლინებებს. წლის ფინიშზე ხასარგებლო იქნება გავაანალიზოთ ახალი ტექნიკის შემუშავებისა და დანერგვის სოციალისტურ ვალდებულებათა განხორციელება, ვიზრუნოთ რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მასობრივი მოძრაობის შემდგომი გაფართოებისათვის. **ამან გვიხსნაც მიზნად სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციაც, რომელმაც საკანონმდებლო წესით დაამკვიდრა ტექნიკური შემოქმედების თავისუფლება.**

რუბრიკა — „პარტიული ცხოვრება: აღზრდას — კომპლექსური მიდგომა“ წარმოდგენილია გაზეთის სპეციალური კორესპონდენტის ი. ლუკინის წერილით „სახალხო პოლიტსკოლებში“ (მე-2 გვ.). ამავე გვერდზე წაიკითხავთ სოციალისტური შრომის გმირის ვ. პოტნიკოვის სტატიას „ერთმანეთის მხარდამხარ ვეძებთ“ (რუბრიკა — **გავუფრთხილდეთ ლოთობს**“).

როცა ახალი კონსტიტუციის თითხოვნათა შესაბამისად სასამართლოებისა და იუსტიციის ორგანოების ამოცანებზე ელაპარაკობთ, არ შეიძლება დავიწყოთ, რომ რაც უნდა კარგად იყოს ორგანიზებული მათი მუშაობა, შეუძლებელია მართლწესრიგის განმტკიცების საკითხების გადაჭრა, თუ მოქალაქეებს არ ეცოდინებათ კანონები და არ შეასრულებენ მათ, წერს გაზეთის ფურცლებზე სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი კ. ტერებილოვი, ამიტომ საჭიროა ყოველნაირად გავაუქმოთ ბესოთ სამართლებრივი აღზრდა და განათლება. სასამართლოებმა და იუსტიციის ორგანოებმა ყველაზე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ძირითადი კანონის პროპაგანდაში. ეს თითოეული იურისტის მნიშვნელოვანი მოვალეობაა. („სამართლიანი, დემოკრატიული“).

სათაურით — „ფაქტი საუკეთესო ოპონენტია“ გაზეთი ბეჭდავს რუსეთის სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის ვ. მეზენცევის რეცენზიას ი. მ. შატილოვის წიგნზე — „მოჟარიდან ნაპოლნიმდე“. ანტისაბჭოურ კამპანიაში, რომელიც ბურეუაზიულმა პროპაგანდამ გააჩაღა ფარისევლური ლეგენით „ადამიანის უფლებებისათვის“, ლიდი ადგილი უჭირავს **რელიგიისა და სინდისის** თავისუფლების საკითხებში ჩვენი პარტიის პოლიტიკის დამახინჯებას, აღნიშნავს ავტორი, ახლახან გამოსული წიგნის „ზოკარიდან ნაპოლნიმდე“ ავტორმა კარგი გზა აირჩია, რათა ეჩვენებინა, რა ფასი აქვს ანტიკომუნიზმის „წმინდა „მოცეკულთა“ ქადაგებებს. მან შეაგროვა უმდიდრესი ფაქტიური მასალა სოფლის მშრომელთა თანამედროვე ცხოვრების შესახებ და გვიამბო ყველაფერი, რაც უნახავს.

ახლახან ტელევაყურებელმა ნახა ცამეტსერიიანი ტელეფილმი „ტანჯვა-წვალების გზით“, რომელიც შექმნილია ალექსეი ტოლსტოის ამავე სახელწოდების ცნობილი რომანის მიხედვით (რეჟისორი ვ. ორდინსკი). ამ ფილმის განხილვას ეძღვნება ა. **ალახოვის** რეცენზია — **„ეთილმა ხძალა ბოროტსა“.**

**ПРАВДА**



## განიხილავენ დაგეგვისა და მართვის აჩოცანებს

**500-ზე მეტი** მეცნიერი ეკონომისტი, უწყებების, საწარმოების, მშენებლობების ხელმძღვანელი შეიკრიბა მოსკოვში, რომ განეხილათ სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების უდიდესი ამოცანების გადაწყვეტისადმი პროგრამულ-მეზნობრივი მიდგომის პრობლემები და გამოყენების პერსპექტივები. ჩვენს ქვეყანაში ეს პირველი ამგვარი კონფერენცია მოაწყვეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა. სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მან უნდა შეიმუშაოს სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის მექანიზმის შემდგომი სრულყოფის რეკომენდაციები.

(ხაკდესი).

## ფინელი ხალხის დღესასწაული

**საბჭოთა** საზოგადოებრიობა ზეიმით აღნიშნავს ფინეთის დამოუკიდებლობის მე-60 წლისთავს. ამ მოვლენისადმი მიძღვნილი კრება 5 დეკემბერს გაიმართა მოსკოვში.

პრეზიდიუმში იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე პ. ა. სტრაუტუმანისი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. კირილინი, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, აქვე იყო საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ დელეგაცია შრომის მინისტრის არეო აალტოს მეთაურობით, ფინეთის ელჩი სსრ კავშირში ი. ჰალამა.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრმა კ. ი. გალანშინმა. შემდეგ გამოვიდა არეო აალტო, რომელმაც აღნიშნა, რომ ფინეთის მე-60 წლისთავი მჭიდროდ არის დაკავშირებული დიდ ოქტომბერთან. ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა იმის დადებითი მაგალითი გახდა, თუ როგორ შეუძლია სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების ორ ქვეყანას განვითარონ ერთმანეთთან ფართო მრავალმხრივი ურთიერთობა ეროვნული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის აღიარებისა და პატივისცემის საფუძველზე, ურთიერთ სარგებლობის საფუძველზე. (საკადესი).

## ფესტივალი სტუმრებს ელოდება

**ტაშკენტში** 23 მაისს გაიხსნება აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების კინოფესტივალი, რომელშიც, როგორც მოსალოდნელია, მონაწილეობას მიიღებს 70-ზე მეტი ქვეყანა. ეს ჟურნალისტებს აცნობა საერთაშორისო დათვალიერების გენერალურმა დირექტორმა, უზბეკეთის სსრ სახკინოს თავმჯდომარემ ა. აბდულაევმა 5 დეკემბერს მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე. ფესტივალი, რომლის დევიზია „მშვიდობისათვის, სოციალური პროგრესისა და ხალხთა თავისუფლებისათვის!“, ხელს შეუწყობს შეხვედრის მონაწილე ქვეყნების კინემატოგრაფისტთა შემდგომ განვითარებას, მთელი მსოფლიოს ხალხების მეგობრობის განმტკიცებას.

(საკადესის კორ.).

## მშვიდობიანი მიზნით

**ქენევა,** (საკადესი). აქ განახლდა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციების მოლაპარაკება ატომური იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების შემუშავების მიზნით.

პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, რომ ა. წ. 9 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა დიდმნიშვნელოვანი წინადადება, რომლის მიზანია წინ წასწიოს მოლაპარაკება ამ საკითხზე, ხელი შეუწყოს მის წარმატებით დამთავრებას. ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის დადოს ხელშეკრულება იმის შესახებ, რომ ატომური იარაღის ყველა გამოცდის გარკვეული ვადით აკრძალვასთან ერთად მორატორიუმი გამოცხადდეს ატომურ აფეთქებებზე მშვიდობიანი მიზნით.

## შეხვედრა დამასკოში

**დამასკო.** აქ გაიმართა სირიისა და იორდანიის კომუნისტური პარტიების წარმომადგენელთა შეხვედრა. შეხვედრის შედეგების შესახებ გავრცელებულ ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ეგვიპტის პრეზიდენტის იერუსალიმში გამგზავრებასთან დაკავშირებით ახლო აღმოსავლეთში მოვლენათა განვითარების შესახებ, დაადასტურეს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და აუცილებელია ორ მოძმე პარტიას შორის ურთიერთობის განმტკიცება. განაცხადეს, რომ სადათის ვიზიტი ისრაელში სხვა არა არის, რა, თუ არა ღალატი არაბეთის ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ.

## ძარიშხალი თურქეთში

**სტამბოლი.** ძლიერმა ქარიშხალმა, რომელიც თავს დაატყდა სტამბოლს, რამდენიმე დღით შეწყვიტა გემების მიმოსვლა ბოსფორში. ათობით ხომალდი იძულებული გახდა თავი შეეფარებინა სრუტის ნავთსაყუდელებში. ცუდი ხილვადობისა და ზღვაში ძლიერი ღელვის გამო ერთმანეთი დაეჯახა რამდენიმე გემი. სამედიცინიროდ, ადამიანის მსხვერპლი აკ ყოფილა. ახლა ქარი შენელდა და მოძრაობა სრუტეში განახლდა.

## ატლანტიკის ქვირეულები

**ბრიუსელი.** ბელგიის დედაქალაქის გარეუბან ევერში დაწყ „ატლანტიკის ქვირეული“ — ნ ტოს ქვეყნების უმაღლესი სამხ დრო და პოლიტიკური ხელმძღვ ნელობის თათბირების სერია. დეკემბერს ევროპის ჯგუფ სხდომაზე ერთმანეთს შეხვდნ თავდაცვის მინისტრები, შემდგ ორ დღეს ჩატარდება ნატოს თ დაცვის დაგეგმვის კომიტეტის ს სია, შემდეგ კი გაიმართება ნ ტოს საბჭოს ორი დღის სესია ( გარეთ საქმეთა მინისტრების დ ნეზე.

### საკადესი

## ტელეტაიპის ლენტიდან

## სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

**საბჭოთა** კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1977 წლის დეკემბერს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 82 წლისა რდაცვალა გამოჩენილი საბჭოთა მხედართმთავარი, სსრ კავშირის აღიარებული ძალების ერთ-ერთი აქტიური მშენებელი, ორგზის ს ჭოთა კავშირის გმირი, საბჭოთა კავშირის მარშალი **ალექსანდრე ხეინის ძე ვასილევსკი.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

**სკკპ** ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა ბჭომ დაადგინეს:

1. საბჭოთა კავშირის მარშლის ა. მ. ვასილევსკის დასაკრძალ შეიქმნას მთავრობის კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლო ლ. ი. ბრეჟნევი (თავმჯდომარე), ი. პ. რიაბოვი, ა. ა. ეპიშევი, ვ. მაკეევი, კ. ს. მოსკალენკო, მ. პ. გიორგაძე, მ. ს. სმირტიუკოვი.

2. დაიკრძალოს ა. მ. ვასილევსკი წითელ მოედანზე, კრემლის ლავანთან.

# საქინისტროს კომუნისტთა მონოდება

## საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე

**ᲙᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ კრება, რომლის მსვლელობაზეც ქვემოთ გვინდა მოგითხროთ, დიდხანს ემახსოვრებათ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი და სწრაფად მზარდი დარგის — ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს კომუნისტებს. საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის საფუძვლიან ანალიზს თან ახლდა საღი და პრინციპული სკა-ბაასი გადაუჭრელ პრობლემებზე, მომავლის ამოცანებზე.**

**სამინისტროს პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრების მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე.**

ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ამბობენ, სამინისტრო მართვის თავისებური შტაბიაო, და ამ შეფასებაში საკამათოც არაფერია. მაგრამ თუ უფრო დავაზუსტებთ მის ფუნქციას, თუ ყოველთვის ჩვენს ეკონომიკაში მასშტაბთა ზრდისა და თვისობრივი ძვრების სიმაღლიდან შეეხედავთ, თანამედროვე სამინისტრო წარმოგვიდგენია, როგორც ერთიანი შემოქმედებითი კოლექტივი, მარად რომ წინ მიისწრაფვის, ეძებს ახალსა და სასარგებლოს, იღვწის დარგის ყველა საწარმოში, ყველა უბანზე ფართოდ გაეღოს კარი მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ ხანს გამართულ პლენუმებზე არაერთხელ თქმულა ხაზგასმით, რომ ჩვენს რესპუბლიკურ სამინისტროებს სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ დარგების განვითარებისათვის, რომ მათ გადაჭრით უნდა უუაჯდონ უინიციატივობა, ბიროკრატიზმისა და ფორმალიზმის ფაქტები, რომ მინისტრიდან მოყოლებული, აპარატის თითოეული მუშაკი ღრმად და ვრცლად იხედებოდეს ცხოვრებაში, იყოს დისციპლინიანი, მომთხოვნი როგორც საკუთარი თავისადმი, ისე აპარატისა და დარგის საჭიროებათა სხვა მუშაკებისადმი, გამოიჩინოს ხაქმის საყვარული და გერგილიანობა, მკაცრად შეებრძოლოს ხიყალბესა და თვალისახვევას, სხვადასხვა დანაშაულსა და სიმახინჯეს, რასაც, სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა ბევრი ჩვენი სამინისტროსა და უწყების სიხტემაში.**

„კომუნისტის“ მკითხველებმა კარგად იციან, რომ ყველა ზემოთხსენებული ნაკლისაგან დაზღვეული როდი იყო საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო, დაზღვეული კი არა და, წლების მანძილზე როგორც აპარატში, ისე მის სამრეწველო ობიექტებზე ფესვი გაიდგა სხვადასხვა ნეგატივმა მოვლენამ. ამ მხრივ ზოგ რამეზე თავის დროზე ითქვა და დაიწერა კიდეც.

ყველაზე შეუწყნარებელი კი ის იყო, რომ სამინისტროს ძველმა ხელმძღვანელობამ ვერა და ვერ აუბა მხარი დროის მოთხოვნებს, ჩანდა საქმეში ღრმად ჩაუნდგომლობა, არაკომპეტენტურობა, არამეცნიერული მიდგომა, ვერ აღიკვეთა სისტემაში სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის დარღვევის, თვალისმაქცობის და სოციალისტური საკუთრების ხელყოფის ფაქტები.

**აი რატომ არის, რომ ხორცისა და რძის მრეწველობა მკვეთრად ჩამორჩა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მიმდინარე გარდაქმნების ტემპს.**

თუმცა ყველაფერში მარტო სამინისტროო როდი სცოდავდა.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ჩვენში ტრადიციულად მიჩნეული იყო, რომ საქართველო მხოლოდ და მხოლოდ მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ქვეყანაა. ეს აქედან ლოგიკური შედეგიც — როცა ნაკლები ნედლეული გაჩეს, მეტსაც ვერ გადადამუშავებ. თავის მხრივ, ხორცისა და რძის წარმოებაც, ერთ ადგილს რომ ტკეპნიდა, მეცხოველეობის განვითარების დამჩაგვრელად, სტიმულატორად ვერ გამოდიოდა.

**შეიძლება უყოყმანოდ ითქვას, არცერთი სამინისტრო თავისი იმ ტერესებით ისე ჩაწნულ-გადაჯაჭვული არ არის სხვა უწყებებთან (მაგალითად, სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის სამინისტროებთან), როგორც ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო. უკვე იჩინა თავი ამ სამინისტროთა უერთიერთშეთანხმებული უშაობის ზოგიერთმა დადებითმა ედეგმა.**

**შეიძლება ასევე უყოყმანოდ თქვას, რომ სხვა ვერცერთი სამეს პროდუქცია ადამიანთა ყოველდღიური მოთხოვნილებით ოლს ვერ დაუდგებს ამ სამინისროს მიერ გამომშვებულ ძვირფას პროდუქტებს — ხორცს, ძვეულს, რძეს, ყველს, ხაჭოს, რაგანს, ნაყინს და ვინ მოთვლის ოდევ რამდენ რას.**

**მაგრამ, ამასთანავე, ისიც შეიძლება უყოყმანოდ ითქვას, რომ ს დარგი ჩვენს რესპუბლიკაში ითქმის თავმანებებული იყო, რ ვძიებდნენ რეზერვებს, არანენ ფიქრობდა მისი თანამედროვე ინდუსტრიულ საწყისებზე გადასვლისათვის. მის საწარმოებს ავიანთი მოძველებული ტექნოლოგიით უმთავრესად ძველ შეობებში დაეფოთ ბინა. რა დასაოლავია, სათანადო ყურადღება რ ჩანდა საკავშირო ორგანოებს ერთვაც.**

**აი რატომ მიაქცია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა ომიტეტმა უდიდესი ყურადღება ეცხოველეობის შემდგომი სწრაფი განვითარების ბრობლემებს**

**წინათ სპეციალურად ჩამოვიდა საქართველოში და ადგილზე გაეცნო საქმეს. წითელყდიან, საკმაოდ ვრცელ ბრძანებაში კონკრეტულად არის ჩამოთვლილი მიმდინარე ხუთწლედში ბევრი რამ ასაშენებელიც და დასამშვენებელიც, დასამონტაჟებელიც და შესაცვლელიც.**

**— ეს და ჩვენი სამინისტროსათვის სხვა კონკრეტული დახმარების არაერთი ფაქტი, ავრეთვე მთელი ის დიდი ყურადღება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მხრივ, რაც ესოდენ თვალნათლივ, აშკარად ჩანს ამ ბოლო წლებში, მარტო ხალხსა და ენთუზიაზმს კი არ გვაძლევს, ამასთან გვიმატებს საფიქრალსა და საზრუნავს, გვინდა, რომ მას სანაცვლოდ ჩვენი პასუხისმგებლობისა და ენერგიის მაქსიმუმი შევაგებოთ! — ასეთია არა მარტო კომუნისტების, არამედ სამინისტროს სხვა თანამშრომლების აზრიც.**

**აი სიტყვის ამბობს საგეგმიერო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი ზ. დევიძე, რომელიც ამ კრებაზე პარტბიუროს მდივნად აირჩიეს. იგი კონკრეტული მაგალითებით კრების მონაწილეებს აარწმუნებს დაეკვრვისა და წარმოების ზოგიერთი შეუსაბამობაზე, რომ დაგეგმვა მუდამ უნდა ხდებოდეს რესურსების შესაბამისად. — აბა რა გამოვიდა, — თქვა მან, — საღი რძის გამოსაშვებად წელს 11.200 ტონა რძის ფხვნილი გვჭირდებოდა, მაგრამ 10.200 ტონა გამოგვიყვეს. აქედან კი მხოლოდ 8.900 ტონა მივიღეთ. წარმოება რეალიზაციასთან და არსებულ ნედლეულთან შედარებით 15 ათასი ტონით მეტი დაგეგმეს.**

**კრებაზე საყვედურები გაისმოდა იმაზეც, რომ ხორცისა და რძის მრეწველობას დიდძალი ტრანსპორტი აკლია. აქ სიმძიმე ეხება განსაკუთრებით სპეციალიზებულ, პირუტყვის გადასაყვანად და ხორცისა და რძის საზიდ მანქანებს.**

**სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა გ. ჭინჭარაულმა** თავისი სიტყვა ძირითადად პირუტყვის სახელმწიფოსათვის ჩაბარების რიტმულობის აუცილებლობას მიეძღვნა, თუმცა ბოლო ხანს საქმე სწორდებაო, თქვა მან, მაგრამ ამ მხრივ სრული წესრიგის დამყარებას მომავალი წლიდან ხელს შეუწყობს ხორცკომბინატებისათვის პირუტყვის ჩაბარების გრაფიკი, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დამტკიცებს.

ბევრი პრობლემის გადაჭრისათვის ზრუნვით იყო ვამსჯელოლი სხვა კომუნისტებს — ხორცის საწარმოთა განყოფილების უფროსის ზ. მოადგილე **ვ. მჭედლიშვილს,** უფროსი ინსპექტორის **ვ. შიუკაშვილს,** რომ სოფლებიდან ბრძანებულ ბრძოლა ამ ხიტყვის პირდაპირი გაგებით.

სამინისტროს აპარატის რამდენმე კომუნისტთან ერთად ზოგიერთ ფაქტსა და ციფრს ეაზუსტებთ... აი ერთხელ კიდევ ინტერესით ვეცნობით მნიშვნელოვან დოკუმენტს — „**საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ**“, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ წლეულს იგლისში მიიღეს.

სწორედ ეს დადგენილება დაედო საფუძვლად სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის **ს. ანტონოვის** ბრძანებას, რომელიც **რესპუბლიკის ხელმძღვანელების თხოვნით** ამსჯ-

**ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ** ქართველი ხალხი უდიდესი მწუხარებით [illegible] თხოვა გამოჩენილ საბჭოთა [illegible] ნიერს, უმაღლესი განსაკუთრებული [illegible] მეცნიერების დიდ ორ[illegible] სსრ კავშირის უმაღლესი [illegible] დეპუტატს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, სოციალისტური შრომის გმირს, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორს, საზღვარგარეთის მთელ რიგ აკადემიათა წევრს, აკადემიკოს ილია ნესტორის ძე ვეკუას.

სამუდამოდ წაგიხდა ჩვენგან თანამედროვეობის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მათემატიკოსი და მექანიკოსი, მეცნიერი და მოქალაქე, რომელსაც მგზნებარედ უყვარდა სამშობლო, თავისი ერი და მათს სამსახურს შეალია მთელი თავისი ნიჭი.

ილია ნესტორის ძე ვეკუას სახელი ამშვენებდა საბჭოთა მეცნიერებას. თავის თუნდამენტურ ნაშრომებში მან შექმნა კერძოწარმოებულიან განტოლებათა თეორიის, გეომეტრიისა და დრეკადობის თეორიის მთელი რიგი ახალი მეცნიერული მიმართულებანი. მეცნიერს მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი მისმა გამოკვლევებმა თხელ დრეკად გარსთა თეორიაში, რომელიც დიდმნიშვნელოვან გამოყენებას პოულობს თანამედროვე სამშენებლო ტექნიკაში.

აკადემიკოს ი. ვეკუას სახელთან არის დაკავშირებული სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა და ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნა, რომლის პირველი რექტორი თვითონ იყო ექვსი წლის განმავლობაში.

ილია ვეკუა იყო აგრეთვე თბილისის უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის— ფართოდ ცნობილი დიდი სამეცნიერო ცენტრის ორგანიზატორი და უცვლელი მეცნიერი ხელმძღვანელი.

შვიდი წლის განმავლობაში ი. ვეკუა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი იყო, 1972 წლიდან მეთაურობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას — რესპუბლიკის მეცნიერების მთავარ შტაბს. ყველგან, სადაც კი უმუშავია, მეცნიერი ამყოფებდა დიდ ორგანიზატორულ ნიჭს, თავდადებით ემსახურებოდა საბჭოთა მეცნიერების აყვავების საქმეს.

თბილისელები, საქართველოსა და ბევრი მოკავშირე რესპუბლიკის საზოგადოებრივობის წარმომადგენლები მოვიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერის ხსოვნის წინაშე უკანასკნელი ეალის მოსახდელად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საკმაო დარბაზი ეამებ[illegible]ბია. აქ, ამ უძველეს უმაღლეს სასწავლებელში დაიწყო ი. ვეკუას სახელოვანი გზა მეცნიერებაში, აქ ეწეოდა იგი მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას, აქ აღზარდა მათემატიკოსთა და მექანიკოსთა მთელი პლეადა, რომლებიც დღეს სახელმოხვეჭილი ქართული მათემატიკური სკოლის ძირითად ბირთვს წარმოადგენენ.

სამგლოვიარო კრებაზე მეცნიერის დიდი პორტრეტი. ყვავილებში ჩაფლულ მაღალ კვარცხლბეკზე დგას განსვენებულის კუბი.

ატლასზე სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი, ხუთი ლენინის ორდენი და სხვა ჯილდოებია, რომლებითაც კომუნისტური პარტიის ერთგული შვილს, დიდი მეცნიერისა და მოქალაქის ღვაწლი აღინიშნა.

დარბაზში უამრავი გვირგვინია, რომლებიც გამოგზავნეს მოსკოვის, ლენინგრადის, ნოვოსიბირსკის, მოკავშირე რესპუბლიკების სამეცნიერო ორგანიზაციებმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს მინისტრთა საბჭომ, [illegible] ბრძანება [illegible] მინისტრთა [illegible] საბჭომ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმ [illegible] ლენინგრადის [illegible] ინსტიტუტ[illegible] ეროვნული [illegible] ეროვნული [illegible] ეროვნული [

„კომუნისტის" დაუსწრებელი პრესკონფერენცია
ერთ ერთი ჩამორჩენილი, უდისციპლინო-ჩვენ გვერდით!
ბათუმელების სიტყვა

რუსთაველთა თაოსნობა საყოველთაო-სახალხო პატრიოტულ მოძრაობად იქცა

# სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისა — კომპლექსური მიდგომა!

## ეფექტიანი ბრძოლა ეფექტიანობის ამაღლებისათვის

### მეტალურგთა თაოსნობა, მისი ფორმები, მეთოდები და სიკეთე, ანუ როგორ უნდა გახდეს სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა თითოეული კოლექტივის ღვიძლი საქმე, შინაგანი მოთხოვნილება, ეფექტიანობის, ხარისხიანი აუშაობის საფუძველი, მატერიალური ძალა, ჩამორჩენის დაძლევის, სახალმწიფო გეგმების და ვალდებულებების უთუო შესრულების რეალური გარანტია

### მოქმედების ორიენტირი

თითქმის წელიწადნახევარია საქართველოს შრომელები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ერთხულოვანი შემარიებით სწავლობენ და თავიანთ მუშაობაში ნერგავენ რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობას, რომელიც სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების, პასუხისმგებლობის ამაღლების, ჩამორჩენილთა დაწინაურების რეალურ გარანტიად, მოქმედების ნათელ ორიენტირად გადაიქცა.

რუსთაველთა თაოსნობის ფორმების და მეთოდების შეხვედრას, ფართოდ გამოყენებას დიდი სტიმული მისცა ამ საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ, რომელიც 1976 წლის 13 ივლისს გამოქვეყნდა პრესაში. მასში ყოველმხრივ იყო განანალიზებული ამ პატრიოტული მოძრაობის დაბადების წანამძღვრები, ღრმად და სრულყოფილად იყო განზოგადებული ის დიდი გამოცდილება, რომელიც ამ საქმეში შეიძინა რესპუბლიკის მრეწველობის ფლაგმანის — მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა.

დღეს, როცა რუსთაველთა თაოსნობა საყოველთაო-სახალხო პატრიოტულ მოძრაობად იქცა, როცა მისი ახლებური ფორმები იშვა ქუთაისელთა და თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა ინიციატივის სახით, როცა მისი სიკეთის რეალურ შედეგებსაც ვხედავთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ცხადია, კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს ამ მოძრაობის შემდგომი სრულყოფის, გავრცელების და სხვადასხვა დარგში გამოყენების გამოცდილება, მისი განზოგადება, იდეოლოგიური უზრუნველყოფა, ფართო პროპაგანდა.

რედაქცია დღეიდან იწყებს დაუსწრებელ პრეს-კონფერენციებს, რომელთა მიზანია „კომუნისტის" ფურცლებზე მკითხველებს მოუთხროს იმ, დიდ საზოგადოებრივ ძვრებზე, იმ დიდ სახიკეთო გარდაქმნებზე, რაც ჩვენს რესპუბლიკაში ხორციელდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით.

თუ როგორ იბრძვიან ცალკეული კოლექტივები რუსთაველთა თაოსნობის შესახებ მიღებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის, როგორ შეძლეს მათ ამ დადგენილების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნის რეალიზაცია — დისციპლინის ელემენტარული ნორმების განმტკიცებიდან მის უფრო ღრმა, ფუნდამენტურ საფუძვლებზე გადასვლა, როგორ მიაღწიეს ყველა რგოლის, ყველა უბნის, თითოეული მუშის, მოსამსახურის ჩაბმას დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ამის შესახებ ხიტყვას ვაძლევთ „კომუნისტის" დაუსწრებელი პრეს-კონფერენციის მონაწილეებს.

**მეტალურგთა თაოსნობა, მისი ფორმები, მეთოდები და სიკეთე, ანუ როგორ უნდა გახდეს სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა თითოეული კოლექტივის ღვიძლი საქმე, შინაგანი მოთხოვნილება, ეფექტიანობის, ხარისხიანი აუშაობის საფუძველი, მატერიალური ძალა, ჩამორჩენის დაძლევის, სახალმწიფო გეგმების და ვალდებულებების უთუო შესრულების რეალური გარანტია**

მუშაობა უჭირდა, წლეულს ყველა უბანი მოწინავეა, ათი თვის გეგმის გადამეტებით გამომუშავებულია 64.896 მანეთის პროდუქცია; შარმანდელთან შედარებით ერთიორად შემცირდა წუნით გამოწვეული ზარალი, გაიზარდა პროდუქციის პირველი წარდგენისთანავე ჩაბარება, ახლა ჩვენი პროდუქციის 98 პროცენტი უდაფექტოა.

რუსთაველთა თაოსნობის სიკეთის უნარიანად გამოყენების შედეგია ის, რომ წლეულს ჩვენს საამქროს კომუნისტური შრომის საამქროს წოდება მიენიჭა. ეს ბევრს გვავალებს, და ჩვენი კოლექტივიც ამიტომ შრომობს ასე თავდადებით, ცდილობს კლავიც ერთ-ერთი მოწინავე იყოს დედაქალაქში.

**დ. გიგაური,**

**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის გრაგნილებისა და კოჭების საამქროს უფროსი.**

### თაოსნობას—პარტიული ზრუნვა

## პასიური მჰკრავებელი რომ არ ვიყოთ...

**ძიება, ბრძოლა, შედეგი**

რუსთაველთა ცნობილმა ინიციატივამ, — „არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენ გვერდით!" — ახალი შრომითი სტიმული მისცა ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებს. ამ შესანიშნავ თაოსნობას უმალვე დაუჭირეს მხარი ბათუმის მშრომელებმაც. ფაბრიკა-ქარხნებში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები, სადაც დასახეს ინიციატივის დანერგვის ღონისძიებები, იკისრეს გაღიდებული ვალდებულებები. გადაწყვეტეს შრომისა და საწარმოო დისციპლინის ამაღლებით მიაღწიონ X ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების გადაჭარბებით განაღდებას, სკკპ XXV ყრილობის მიზანდასახულებათა განხორციელებას.

ბათუმის საქალაქო კომიტეტი, ხელმძღვანელობდა რა ზემდგომი ორგანიზების დადგენილებით, სათავეში ჩაუდგა რუსთაველთა ინიციატივის დანერგვას. ამ მიზნით საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა მიზანსწრაფულად წარემართათ ინიციატივის პროპაგანდა, საწარმოს ყოველ უჯრედში ახალი ძალით გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება, განმტკიცებინათ დისციპლინა, მორალური ზემოქმედება მოეხდინათ იმ ადამიანებზე, რომლებიც შემჩნეულნი იყვნენ შრომის დისციპლინის დარღვევაში.

ცნობილი ჭეშმარიტებაა — იმ კოლექტივში, სადაც მაღალია ადამიანთა შეგნებულობა, წარმატებით წყდება სამეურნეო ამოცანები, პარტიულმა ორგანიზაციებმა თავის მხრივ გაშოიყვნეს იდეოლოგიური და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ყველა ნაკადი ხერხი, რასაც შესანიშნავი შედეგი მოჰყვა. თავის მხრივ საქალაქო კომიტეტი რუსთაველთა ინიციატივის დანერგვისა და კოლექტივების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობას განიხილავდა ბიუროების სხდომებზე, პლენუმებსა და აქტივის კრებებზე, ბიუროს წევრები მონაწილეობდნენ საწარმოთა სამეურნეო, იდეოლოგიურ და პარტიულ ღონისძიებებში.

ავიღოთ ერთი საწარმოს მაგალითი.

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ქალაქის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა. კოლექტივი მრავალფეროვანი და მრავალეროვანია, ამიტომ ბუნებრივია, დიდ საწარმოში მრავალფეროვანი ღონისძიებების გატარებაა საჭირო. რუსთაველთა თაოსნობის შემდეგ მენავთობეებმა გააქტიურეს ბრძოლა შრომის შინაგანაწესის დაცვისათვის, ტექნოლოგიური პროცესების დამრღვევთა წინააღმდეგ, მოაწყეს სტენდი „ვინ გვახარებს და ვინ გვარცხვენს". საპირისპირო მაგალითები მორალური ზემოქმედების საუკეთესო საშუალება გახდა. უდისციპლინო მუშაკმა, საწარმოო და ტექნოლოგიური რეჟიმის დამრღვევმა უნდა იგრძნოს მორალურ-მატერიალური ფაქტორების ძალა, მან უნდა იცოდეს, რომ დანაშაულს არ აპატიებენ. მუშა, რომელმაც უმიზეზოდ დააგვიანა, ან ნასვამი მოვიდა, ჰკარგავს „მეცამეტე ხელფასს". ასეთი ღონისძიება ჭკუასასწავლი გახდა სხვებისათვის. თავის მხრივ მოწიფაევები, ესეთები, როგორიც არიან სკკპ XXV ყრილობის დელეგატი თ. დოლიძე, ნ. თეალავაძე, კ. მოდებაძე და ათობით სხვა მოწინავე მუშაკი. პირადი მაგალითით მთაადგინენენ დისციპლინის დამრღვევნი, რომ კეთილსინდისიერი შრომა ყოველგვარი ბედნიერების საფუძველია.

დარღვევებისა და ნაკლოვანებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შედეგად შარშანდელთან შედარებით წლეულს ქარხანაში სურათი შეიცვალა, ქარხანაში სამუშაოთა გაცდენა მინიმუმამდე შემცირდა. ეს იმის შედეგია, რომ ქარხნის ხელმძღვანელობა გამოუხმაურებლად არ ტოვებს დისციპლინის დარღვევის არცერთ შემთხვევას და იგი პრინციპულ სიმაღლეზე აყავს. კარგი კოლექტივი აღზრდის სკოლაა, ეს ნათლად გამომჟღავნდა იმ ახალგაზრდების მიმართ, რომლებიც ბოლო დროს მოვიდნენ საწარმოში. ბევრმა მათგანმა მხარი გაუსწორა მოწინავე და გამოცდილ მუშებს. ახალგაზრდებმა წამოიწყეს ახალი თაოსნობა — არცერთი მუშა საშუალო განათლების, გარეშე! თანამედროვე რთული ტექნოლოგია ღრმა ცოდნას მოითხოვს, ამიტომაც ისწრაფვიან ახალგაზრდები გაიფართოონ ცოდნის პორიზონტი, უკეთ დაეუფლონ ტექნიკას.

გატარებულმა ღონისძიებებმა შესანიშნავი შედეგები გამოიღო. ბათუმელი მენავთობეები მტკიცედ დადგნენ ქალაქის მოწინავე საწარმოთა რიგებში, ხშირად იმსახურებენ საკავშირო და რესპუბლიკურ პრემიებს, მათს საერთო პროდუქციაში ახლა ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი 46,5 პროცენტია.

ბათუმელ მენავთობეებზე ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდით, რომ მათი მაგალითი, მათი შრომითი წარმატება ტიპიურია. ანალოგიური სურათი გვაქვს ელექტრომექანიკურ, მანქანათმშენებელ, გემთმშენებელ ქარხნებში, ხის დამამუშავებელ კომბინატში და სხვა საწარმოებში. რუსთაველთა ინიციატივის უგულებელყოფად, დისციპლინის დარღვევად მიგვაჩნია, როცა კოლექტივი გეგმას ვერ ასრულებს. არავის აქვს უფლება დღეკანდელობის პასიური მჭვრეტელი იყოს, ყოველი საწარმო აქტიურად უნდა ასრულებდეს თავის მოვალეობას. რუსთაველთა ინიციატივის თვალსაბურ გაგრძელებად და გაღრმავებად მიგვაჩნია ქუთაისელთა და თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა ახალი ინიციატივა — „არცერთი ჩამორჩენილი საწარმო!" ბათუმელები ამ ახალ თაოსნობასაც ერთსულოვნად გამოეხმაურნენ და მიაღწიეს იმას, რომ ხუთი თვის განავლობაში, მაისიდან — ოქტომბრის ჩათვლით, არ გვყოლია არცერთი ჩამორჩენილი საწარმო. 10 თვის გეგმა 24 ოქტომბერს შეგასრულეთ და სამშობლოს მიეგებით მიღიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. 80 პროცენტამდე შევამცირეთ მოწყობილობათა მოცდენა, 2,5-ჯერ შემცირდა საწარმო დისციპლინის დამრღვევთა რაოდენობა.

ნოემბერში ქალაქის საწარმოთა წინსულის რიტმს ჩამორჩნენ თეეზჩერის სამმართველო, ჭორობის ინერტიულ მასალათა ქარხანა. გეგმებს კლავიც ვერ ასრულებს № 5 სამშენებლო ტრესტი, ემდურიან მის ნახელავს, მაგრამ პარტიის საქალაქო კომიტეტი, პარტიული ორგანიზაციები ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ დავაწინაუროთ ჩამორჩენილები.

ბათუმის მშრომელებმა ზედიზედ ოთხჯერ დაიმსახურეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ჩვენი საბრძოლო ფაქტიურად ბათუმი გადაგვწყვეტოთ ყველა აქოცანა, ავამაღლოთ მშრომელთა შეგნებულობა, დარაზმოთ ისინი პარტიის წინასწარდასახულებათა განსახორციელებლად.

**დ. მანჯგალაძე,**

**პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.**

### კასუხისმგებლობა: პერსონალური და კოლექტიური

## ნეგრიგი წინსვლის დედაა

**გადავიღეთ ელემენტარული დისციპლინიდან მის უფრო ღრმა, ფუნდამენტურ საფუძვლებზე**

მეტალურგთა თაოსნობის ხაფუძვლიანი შესწავლა და სრულყოფილად დანერგვა იმთავითვე გახდა ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება. ეს გასაგებიც არის. მაღალი დისციპლინის და პასუხისმგებლობის საფუძველზე საწარმოო მაჩვენებლების, მუშაობის ხარისხის გაუჯობესებისათვის ახალი შეჯიბრება სწორედ იმ კოლექტივმა დაიწყო, ვისაც ჩვენს ძირითად პროდუქციას — საკოქე კონცენტრატს ეაწვდით. ის დიდი მოთხოვნა, რომელიც მეტალურგებმა თავიანთ საქმიანობას წაუყენეს, ცხადია, ჩვენც შეგვეხებოდა, ინიციატორები ჩვენგან სავსებით საფუძვლიანად მზოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციის მიწოდებას მოითხოვდნენ.

პირველი ნაბიჯი, რაც ამ მიმართულებით გადავდგთ, ის იყო, რომ ფაბრიკის ყველა უბანზე ღია პარტიული კრებები ჩატარდა და კოლექტივის ყველა წევრი გულდასმით გაეცნო ჯერ მეტალურგთა მოწოდებას, შემდეგ კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ამ საკითხზე. ამ კრებებზე მსჯელობა ფაქტიურად ჩვენს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების, ხარვეზების გამოვლინების ნიშნით წარმართა.

ყველა უბანზე შეეკმენით ვ. წ. სკოლები, სადაც ვაამაღლა მეცადინეობა იმისათვის, რომ მშრომელთა შეგნებული დისციპლინის დამკვიდრება თითოეული მშრომელის საარსებო პიროვნად გამხდარიყო. ყოველნაირად ვცდილობდით იმის მიღწევას, რომ კოლექტივის პასუხისმგებლობა აგვეამაღლებინა, რომ კოლექტივს გადაუდებელი რეაგირება მოეხდინა მიხი წევრის მიერ დისციპლინის დარღვევის ყოველ ფაქტზე, და პირველად — გაძლიერებულიყო თითოეულის პერსონალური პასუხისმგებლობა კოლექტივის წინაშე.

ამ საქმეში დიდი მუშაობა გასწია ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც მარტო მამობილიზებელ ლოზუნგებს როდი დასჯერდა, რეგულარული, თანმიმდევრული კონკრეტული ღონისძიებები გან ხორციელა ყველა უბანზე, სათავეში ჩაუდგა შეჯიბრების ორგანიზაციას, დაიწესა მისი შედეგების ყოველკვირეული შეჯამების. ვიდა, აღმინისტრაციისთ ერთად შეიმუშავა ჩამორჩენილებისადმი დახმარებმოწინავეთა, დიდი პასუხისმგებლობით მომუშა მუშაკების სტამბლირების, წახალისების ფორმე და მეთოდები. კვინდა ერთი ასეთი მაგალითი მოვ ყვანოთ: ფაბრიკის საამქროებში გაჩნდა ელვა-ფურ ლები, სადაც ყოველი კვირის ბოლოს იყო აღნიშნ ლი იმ მშრომელთა გვარები, ვინც კვირის მანძილ სანიმუშო დისციპლინის მაგალითი აჩვენა. იქვე გვ დით ვაქვეყნებდით დისციპლინის დამრღვევთა გ რეკს. მათს საკითხს კი მიორე დღესვე ეანიხილავდ საამქროების, უბნების, ბრიგადების კოლექტივები.

წახალისების და ზემოქმედების მარტო ამ ფორ დიდი შედეგი მოიტანა. საზოგადოებრივმა გაკიც უდისციპლინოთა უმეტესობამ კოლექტიურო გრძნობა გაუღვიძა და ისინი მოკლე ხანში მოწინავე რიგებში ჩადგნენ.

მაგრამ ეს საქმის მხოლოდ დასაწყისი იყო. ჩვენი მუშაობის პირველ ეტაპზე დისციპლინის ე მენტარულ საკითხებზე გმსჯელობდით, შემდგომ უ, როცა ცალკეულ უდისციპლინოთა, გამცდენთა, დამგ ანებელთა რიგები შეთხელდა, საერთო კოლექტიუ ორგანიზებული დისციპლინის დამკვიდრებისათ ლამქრობა გაგაჩაღეთ. აქაც მთავარი სიტყვა პარ ულმა ორგანიზაციამ, კომუნისტებმა თქვეს. კო ნისტები წარმოების ყველა რგოლში სათავეში ჩა გნენ ამ შეჯიბრებას და ბრიგადებს, უბნებს. სა როებს შორის გაშლილი შეჯიბრების მუხლებში მ ეარი ადგილი დისციპლინის და პასუხისმგებლო საკითხებს დაუთმეს, საწარმოო შეედგების შეჯამე მაჩვენებლების შეფასებას ამ მნიშვნელოვანი კო რიუმებით მიუდგნენ.

წარმოების თითოეული რგოლის ნაყოფიერ შრო ცხადია, ვერ მივაღწევთ, რომ არ გვეზრუნა ნიკური პროგრესისათვის. რუსთაველთა თაოსნ სრულყოფილად დანერგვა, მისი მთელი სიკეთის ლება უამისოდ წარმოუდგენელია. ამიტომ იყო, შარშანვე დავიწყეთ ფაბრიკის ცალკეული უბნ ტექნიკური გადაიარაღება. წლეულს უკვე მუშ ახალი ტიპის დამლიქი მანქანა, რომელიც ხ პროდუქციის გამოშვებას და აუჯობესებს მის ხარისხს. ამასთან. რაც მთავარია, 240 ტონდან ტონამდე დიდდება ფაბრიკის საათობრივი დატვი დიამორტალეთ ავრეთვე ახალი ტიპის ორი ავტო გა. ამ ავრეგატებმა მნიშვნელოვნად შეამცირა პრ ქციის ნესტიანობა, რაც იმამდე ხარისხს უკარ ჩვენს პროდუქციას.

მაღალი დისციპლინის და პასუხისმგებლობის ლითი გვიჩვენეს ფაბრიკის რაციონალიზატორ რომლებიც საერთო ფერხულში, ჩვენი ახრით, სრ დატვირთვის სწორედ რუსთაველთა თაოსნობის ლეგ ჩაებნენ. თავიანთ კოლექტივებს შორის გა შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევა ზე ხომ ბევრად იყო დამოკიდებული. მათმა შეჯ ბამ, მეგობრულმა „მეტოქეობამ" საწარმოს სიახლე შესძინა. მარტო წლეულს მათს ანგარ 9 დანერგილი სიახლე, რომელთა ეკონომიკური ქტი ათასობით მანეთით განისაზღვრება.

ჩვენს წარმატებას რუსთაველ მეტალურგებს ღლეთ . ისინიც იმკიან თავიანთი თაოსნობის სი ჩვენგან შედარებით ბევრად უკეთეს კონცენტ ღებენ, და, რაც მთავარია, შეფერხებები მიწოდ მთლიანად აიმოიფხვრა. მარტო წლეულს მათ გაგზავნეთ 15.807 ტონა ზეგეგმითი კონცენტრატ ეს იმის ნიშნავს, რომ თვითმეტი თვის გეგმა ზე ადრე 107,4 პროცენტით შესრულდა, დავალ პირნათლად ანაღდებს ორივე საექსპლოატაციო და ექვსივე დამხმარე ბრიგადა.

**ი. გოგბერაშვილ**

**ტყიბულის ქვანახშირის გამამდიდრებ ფაბრიკის დირექტორი.**

□ **რუსთაველთა** თაოსნობა ლოგიკური განვითარებაა დისციპლინის განმტკიცების პროცესისა, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანით დაიწყო რესპუბლიკაში თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების დროს.

უკვე თვალნათლივ ჩანს მისი თვისებრივი სიახლე — **კომპლექსური მიდგომა სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების პრობლემების გადაწყვეტისადმი** ყველა მისი სახეობისა და ფორმის ორგანული ერთიანობის საფუძველზე.

> საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის", ბრძოლა გასაძლიერებლად რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის თაოსნობის შესახებ".

### როგორც თაოსანს შეჰფერის...

## ერთიანი, მწყობრი სისტემით

**მეტალურგიული ქარხნის მაგალითი**

ბულახდილად რომ ვთქვა, როცა ჩვენი საამქროს მოწინავე მეფოლადემ ომარ წითლიძემ თავისი ცნობილი თაოსნობა წამოიწყო, მართალია, მარტენის ყველა ბრიგადა მაშინვე გვერდში ამოუდგა და მალე ქარხნის პარტიულმა კომიტეტმაც მოიწონა იგი, მაგრამ მაინც წინასწარ ძნელი წარმოსაგენი იყო, რომ მას ჯერ მთელი რუსთავი დაუჭერდა მხარს, შემდეგ კი იგი მთელს რესპუბლიკაში ასე ერთსულოვან და ფართო რეზონანსს ჰპოვებდა.

როგორც ინიციატორებს შეჰფერის, თაოსნობამ წაშოწყების შემდეგ ქარხანაში განუწყვეტლივ გრძელდებოდა მუშაობა მისი შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფისათვის. ახლა თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ და ვიამაყოთ კიდეც, რომ ეს მუშაობა მეცნიერულ საფუძველზე მიმდინარეობდა და სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის ერთიანი, მწყობრად ჩამოყალიბებული თეორიულ-პრაქტიკული სისტემის სახე მიიღო.

ეს არის დისციპლინის მართვისაკენ ვალდებული ბრძეული ნაბიჯები.

ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა, აღმინისტრაციამ და პროფკავშირის საქარხნო კომიტეტმა შეიმუშავეს სოციალისტური დისციპლინის მართვის დებულება. ივი მკვეთრად განსაზღვრავს ხაწარმოს ყველა სტრუქტურული ქვეგანაყოფის მუშაობის შინაარსსა და ფორმებს, ხელმძღვანელობის ყველა დონეზე იცავს მას საკითხისადმი სუბიექტური და კუსტარული მიდგომისაგან.

ვიდრე ეს დებულება დამტკიცდებოდა, მისი პროექტი წინასწარ ფართოდ განვიხილეთ მუშათა კრებებზე და მასში მთავარი სწორედ ის არის, რომ დემოკრატიის გაფართოება და კოლექტივის თითოეული წევრისადმი მომთხოვნელობის გაძლიერება ერთად არის შერწყმული.

წელიწადზე მეტია ეს დებულება დისციპლინის განმტკიცებლად ყველა საამქროსა და სამსახურის საქმიანობის განმსაზღვრელ კოდექსად იქცა და ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ იგი განუხრელად ხორციელდებოდეს.

საწარმოში შეიქმნა და მუშაობს სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების მუდმივმოქმედი მეთოდიკური კაბინეტი, რომელიც ღრმა და კომპეტენტური კონსულტაციებით ეხმარება როგორც ქარხნის საამქროებსა და სამსახურებს, ისე რესპუბლიკის სხვა დაინტერესებულ საწარმოებსაც, რომლებიც რჩევისათვის მიმართავენ.

სოციალისტური დისციპლინის ამაღლებისათვის დაწყებული ამ თაოსნობის თვისებრივი სიახლე ის არის, რომ იგი კომპლექსურად წყვეტს პრობლემას, ყველა სახისა და ფორმის დისციპლინის ორგანულ მთლიანობას ემყარება და დისციპლინის ელემენტარული ნორმების დამკვიდრებიდან მის ღრმა ფუნდამენტურ საფუძვლებზე გადადის.

საამისოდ ქარხანაში მრავალი ერთობლივი ღონისძიება განხორციელდა, რომელიც საბოლოო ანგარიშით მთლიანად სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისაკენ, პროდუქციის ხარისხისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისაკენ არის მიმართული.

ჩვენთან ყველას კარგად ესმის, რომ როცა კოლექტივი ტექნოლოგიური დისციპლინის თუ სტანდარტის დარღვევების წინააღმდეგ იბრძვის, ეს ჯერ ნიშნავს, რომ იგი საწარმოს სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის იბრძვის. სწორედ ამიტომ ქარხანაში შემუშავებულია ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა, განსაზღვრულია ამ დარგში კოლექტივიც და რიგითი მუშაკის ამოცანები, დასახულია კონკრეტული ღონისძიებები. იგი მოიცავს ხარისხისათვის ბრძოლის ყველა მხარეს: რა უნდა დაინერგოს არა მარტო საქარხნო მასშტაბით, არამედ თითოეულ სამუშაო ადგილზე. შექმნილია სხვადასხვა საბჭოები და კომისიები. მაგალითად, ასეთია მუშური ღირსების საქარხნო საბჭო, რომელიც მეტად დიდი პოპულარობით სარგებლობს. გამოდის სპეციალური ნაბეჭდი ფურცლები. ამ საერთო ფერხულში ჩაბმულია ჩვენი ქარხნის პრესა — მრავალტირაჟიანი „მეტალურგი", კედლის გაზეთები, საქარხნო რადიომაუწყებლობა, პროპაგანდისტების, აგიტატორების, პოლიტინფორმატორების მთელი არმია. ყოველწლიურად ეწყობა ხარისხისადმი მიძღვნილი კონფერენციები.

თუ მტკიცე დისციპლინა არ იქნა, შეუძლებელია ეფექტიანი სოციალისტური შეჯიბრებაც და მისი სწორი ხელმძღვანელობაც. ამ საქმეს სათავეში უდგანან შესაბამისი კომისიები. გაჩაღებულია ინდივიდუალური, ბრიგადული, ცვლებს შორის, საამქროებს შორის შეჯიბრება, აგრეთვე „საუკეთესო ოსტატის", „საუკეთესო ცვლის ოსტატის" „საუკეთესო ხარისხის პროდუქციის საამქროს" წოდების მოპოვებისათვის შრომითი პაექრობა. სოციალისტურ შეჯიბრებაში უკლებლივ ყველაა ჩაბმული. ყოველდღიურად ჯამდება შედეგები და ოპერატიულად ქვეყნდება გამარჯვებულთა და ჩამორჩენილთა ვინაობა. შემოღებულია მატერიალური და მორალური წახალისების მრავალი ფორმა. ჯანსაღი მეტოქეობა და სიჯარობა შრომის დისციპლინის განმტკიცების კარგი სტიმული გახდა.

დიდად გვეხმარება სხვათა გამოცდილების შემოქმედებითი გამოყენება. კერძოდ, ლენინგრადი მაგალითად დაენერგეთ ხარისხის კომპლექსური მართვის სისტემა; სვერდლოვსკელთა გამოცდილებას ვიყენებთ საამქროებისა და აგრეგატების რეკონსტრუქციის საქმეში; თბილისელ მეკობეთა ბრიგადის ხელმძღვანელის გიორგი კურტანიძის მოწოდებას — არსებული საწარმოო დარეზერვებიდან მეტი პროდუქციის მიღების შესახებ — ჩვენი ქარხნის ათობით ბრიგადა და ასობით მუშა გამოეხმაურა.

ყველა იმ სიკეთის აღრიცხვა, რომელიც ქარხნის კოლექტივს ამ თაოსნობამ მოუტანა, და მითუმეტეს მათი აქ ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ რამდენიმე მნიშვნელოვანს მაინც დავასახელებ: მეთხუთმეტეჯერ ზედიზედ ვინარჩუნებთ სსრ კავშირის ფავი მეტალურგიისა და დარგის პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას; თუ ადრე ჩვენი არცერთი პროდუქცია არ ატარებდა ხარისხის სახელმწიფო ნიშნის, ამ ინიციატივის შემდეგ იგი იქმნა მინიმუმ. ლითონის ყველა ნაწარმს მხოლოდ უმაღლესი და პირველი კატეგორიით ვიშვებთ. წლეულ ათ თვეში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა გამეცდენების რაოდენობა, ჩვენ საამქროში კი თითქმის განახევრდა.

**ს. დევდარიანი,**

**რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს № 2 ბრიგადის ცვლის უფროსი, ინჟინერი.**

### ვალდებულება—კირაღი, შედეგი—საერთო

## დიდი საქმე მცირეთი იწყება

**როცა შეჯიბრების შედეგები ყოველდღე ჯამდება**

რუსთაველთა მიწოდებას, რომ გავეცანით და ჩვენი საამქროო პროგრამა შევიმუშავეთ, ძირითად მიზნად დავისახეთ, რაც შეიძლება ეფექტიანად ვიმუშაოთ. ეს ნიშნავს, ეფექტიანობა ეფექტიანობა, ეფექტიანობა

# მსოფლიოს ამბები

## ალმშენებლობის კურსით

### გაიხსნა ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის (მპლას) პირველი ყრილობა

**ლუანდა, 5 დეკემბერი. (საკ-დისი). ანგოლის სახალხო რესპუ-ბლიკის დედაქალაქ ლუანდაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ან-გოლის განთავისუფლების სახა-ლხო მოძრაობის (მპლას) პირველი ყრილობა.** იგი შეაჯამებს მპლას ხელმძღვანელობით თავისუფლე-ბისა და ეროვნული დამოუკიდებ-ლობისათვის ანგოლელი ხალხის მრავალი წლის ბრძოლის შედეგ-ებს. განიხილავს ქვეყნის განვი-თარების მომდინარეობას სახალხო ხელისუფლების ორი წლის მანძი-ლზე, დასახავს რესპუბლიკაში სოციალურ-ეკონომიკური გარდაქ-მნების პერსპექტივებს.

ყრილობის დღის წესრიგის უმ-ნიშვნელოვანესი საკითხია ანგო-ლის მშრომელთა ავანგარდული პარტიის შექმნა.

ანგოლის განთავისუფლების სა-ხალხო მოძრაობის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენე-ბა გააკეთა მპლას თავმჯდომარემ ანტონიო აგოსტინიო ნეტომ.

**ლუანდა,** 6 დეკემბერი. (საკდი-სი). ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის (მპლას) პი-რველ ყრილობაზე გუშინ გამოვი-და საბჭოთა კავშირის კომუნის-ტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი, დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო.

ამხ. ა. პ. კირილენკომ მპლას პირველ ყრილობას გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საჩუქა-რი — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებ-ლის, მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისა და მშრომელების დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის სკულპტუ-რული პორტრეტი.

## დამთავრდა ტრიპოლის თათბირი

**ტრიპოლი, 6 დეკემბერი. (საკ-დისი). ლიბიის დედაქალაქში და-მთავრდა მთელი რიგი არაბული სახელმწიფოების მეთაურთა და ხელმძღვანელობის წევრთა, აგრე-თვე პალესტინის განთავისუფ-ლების ორგანიზაციის თათბირი.** როგორც ლიბიის საინფორმაციო საგენტო ჯანა იუწყება, მისმა მონაწილეებმა გამოაცხადეს, რომ შეიქმნა სრულიად არაბეთის ერთიანი ფრონტი, რომელიც იბ-რძოლებს იმპერიალიზმის და სიო-ნიზმის შეთქმულებათა წინააღ-მდეგ, ყოველგვარი ცდის წინა-აღმდეგ, რომ ახლო აღმოსავლეთ-ის პრობლემა კაპიტულანტურად გადაწყდეს არაბ ხალხთა ინტერეს-ების ხარჯზე.

შემაჯამებელ რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ აგრესია ტრი-პოლის თათბირის რომელიმე მონაწილის წინააღმდეგ მიჩნეული იქნება როგორც აგრესია ყველას წინააღმდეგ, ვინც ხელი მოაწერა ამ რეზოლუციას.

თათბირის მონაწილეებმა გა-დაწყვიტეს დაგმეს პრეზიდენტ სა-დათის ვიზიტი იერუსალიმში და მისი მოლაპარაკება ისრაელთან სეპარატული ზავის დადების შე-სახებ, მისი მოქმედება მთა შეა-ფასეს როგორც ეგვიპტელი ხალ-ხისა და მისი შეიარაღებული ძა-ლების ინტერესების ღალატი, მთელი არაბი ერისა და ახლო აღმო-სავლეთის ეროვნულ-განმათავი-სუფლებელი მოძრაობის ღალატი.

მათ გადაწყვიტეს არ ცნონ ის-რაელის ხელმძღვანელებთან ეგ-ვიპტის პრეზიდენტის მოლაპარა-კების შედეგები და მისი შემდ-გომი ნაბიჯები ამ მიმართულე-ბით, მათ შორის დაგეგმილი კა-ეროს შეხვედრა.

არაბული ქვეყნების ლიდერებ-მა გადაწყვიტეს ბოიკოტი გამოუ-ცხადონ ეგვიპტეში მოწვეულ სრულიად არაბეთის ყოველ თათ-ბირსა და კონფერენციას, დაალ-ონონ არაბული ქვეყნების ლიგაში ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის წევრობის საკითხი. მათ განაცხა-დეს, რომ განზრახული აქვთ ყო-ველმხრივი მხარდაჭერა გაუწიონ პალესტინის წინააღმდეგ ო ბ ი ს მოძრაობას თეხქვეშ გათელილი უფლებების აღდგენისათვის, და-მოოკიდებელი ეროვნული სახელ-მწიფოს შექმნისათვის ბრძოლაში.

**კაირო, 6 დეკემბერი. (საკდი-სი). მენის საგენტოს ცნობით, ეგვიპტემ გადაწყვიტა დიპლომა-ტიური ურთიერთობა გაწყვიტოს სირიასთან, ლიბიასთან, ალჟირთან და იემენის სახალხო დემოკრა-ტიულ რესპუბლიკასთან.**

*ჩვენი გეოგრაფიული ცნობარი*

## იცნობთ შვეიცარიას?

**შვეიცარია** ძველ გერმანუ-ად მესაქონლეობას, სარძეო ფრანგულს ნიშნავს.

**ციურიხი** კელტური ენიდან მო-ს. იგი სიტყვა-სიტყვით წყლიან გულს ნიშნავს.

**ციურიხის** მოსახლეობის მხრივ ელზე დიდი ქალაქია შვეიცა-ში — აქ ცხოვრობს 441 ათა-კაცი. სულ შვეიცარიაში 6 მი-ონ 431 ათასი კაცი ცხოვრობს (73 წ.), ფართობი კი 41,3 ასი კვადრატული კილომეტ-ი.

**ალაქს** 2 ათასი წლის ისტორია ს.

**ციურიხში** არის შვეიცარიის ელზე დიდი უნივერსიტეტი.

**შვეიცარიაში** ძველი ბიბლიოთეკა, სადაც მუშაობდა ემიგრაციაში მყოფი ვ. ი. ლენინი.

**1874** წლის კონსტიტუციით შვეიცარია ფედერაციული რეს-პუბლიკაა.

ეკონომიკაში განსაკუთრებუ-ლი ადგილი ეკუთვნის საბანკო სისტემას. ციურიხში, მაგალითად საქაღალდეთა საზოგადოებათა სამი კერძო ბანკია.

**შვეიცარიას** მსოფლიოში პირველ-ი ადგილი უჭირავს საათების წარმოების მხრივ, რომელსაც 300-ზე მეტი წლის ისტორია აქვს. აქ ყოველწლიურად 42-45 მილიონ ცალ საათს აწარმოებენ, რომლის 98 პროცენტი საექსპო-რტოა.

ეკონომიკაში დიდი ადგილი უჭირავს ტურიზმსაც. ყოველ-წლიური შემოსავალი ერთ მილი-არდ შვეიცარიულ ფრანკს აღემატ-ება.

**შვეიცარიაში** სახელმწიფო ენად მიჩნეულია გერმანული, იტალიუ-რი, ფრანგული და რეტოროომა-ნული.

**შვეიცარიის** ალპების უმაღლესი მწვერვალია დიუფერის პიკი — 4.638 მეტრი ზღვის დონიდან.

**სპორტული** თამაშებიდან უყ-ვართ კვლი, ჰოკეი, ფეხბურთი, თხილამურები, ციგურები.

*უცხოეთის ჟურნალი*

## ...ინტერესო ნავთობი

როგორც იტალიური გაზეთი „უნიტა“ იუწყება, საბურჟნეთის არქე-ოლოგთა ჯგუფმა, რომელიც გათხრებს აწარმოებდა სალონიკში, აღმო-ჩინა ფილიპე მეორე მაკედონელის (ალექსანდრე მაკედონელის მამის) არხი.

ეროსათზე, რომელიც ამოღებულია გაზეთ „უნიტადან“, აღბეჭდილია ეროსის საერთო ხედი.





# ტინისხიდის ტრაგედია

*სირცხვილი თქვენ, ტინისხიდელებო!*

**სისტემატურმა** ლოთობამ, უსა-ფუძვლო ეჭვიანობამ და ამ ნიადაგზე გამუდმებულმა კინკლაობამ ნამდვილი უბედურება დაატ-რიალა გორის რაიონის სოფელ ტინისხიდში. მთვრალმა ო. ყაზარაშვილმა, რომელიც ადრე მეცხოველეობის სამრეწველო გაერ-თიანებაში მუშაობდა, სანადირო თოფის ორჯერ გასროლით სიცო-ცხლეს გამოასალმა მეზობელი, კეთილსინდისიერი მშრომელი ადამიანი, გორის ავტოტრანსპორ-ტის კომბინატის მძღოლი ოთარ ავაზნელი და მისი ცხრა წლის გოგონა გულო ავაზნელი.

საგულდაგულო გამოძიებამ, შემდეგ კი სასამართლოს სამსჯა-ვრო სხდომამ, მოწმეთა ჩვენე-ბამ, ნივთიერმა მტკიცებამ დაადა-სტურა ო. ყაზარაშვილის უმძი-მესი დანაშაული, რომელიც მან სიმთვრალეში განხრახ ჩაიდინა.

დამნაშავე ყაზარაშვილსა და ო. ავაზნელს შორის დიდი ხნის მანძილზე უთანხმოება და უსიამ-ოვნება იყო. ყაზარაშვილი სრულ-იად უსაფუძვლოდ ეჭვიანობდა და ამის ნიადაგზე სულ მუდამ კინკლაობდა და აყალმაყალს წამ-ოწყების მიზეზს ეძებდა. და აი, წელს, 19 აპრილს შინ მთვრალი მივიდა, ჯერ ოჯახში იბობოქრა, იჩხუბა, ლანძღვა-გინებით იხსე-ნიებდა ყველას და განსაკუთრე-ბით კარის მეზობელს, შემდეგ სა-ნადირო თოფით შეუარდა მძინა-რე ო. ავაზნელს, ერთი მას ეხ-როლა, მეორე ტყვია ცხრა წლის გოგონას დაახალა, რომლებიც იქ-ვე გარდაიცვალნენ. შემდეგ გამ-ხეცებულმა მკვლელმა ავაზნელის სამი წლის ბიჭუნას დაუწყო ძე-ბნა, მაგრამ ბავშვი საბედნიეროდ შინ არ იყო და გადარჩა.

ასეთი უმძიმესი დანაშაულის შემდეგ მკვლელი ყაზარაშვილი მიიმალა, თუმცა მილიციის ორგა-ნოებმა მაინც მიაგნეს მის კვალს...

აი ასე, დღისით, ასობით მოწ-მის, სოფლის მთელი საზოგადო-ების თვალწინ მზადდებოდა ეს დანაშაული.

**საქართველოს სსრ. უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართ-ლის სასამართლო კოლეგიამ მკვლელ ო. ყაზარაშვილს სასჯელის განსაკუთრებული ზომა — დახვრეტა შეუფარდა. საქართველოს სსრ უმაღლესი სამეფო პრეზიდიუმმა არ დააკმაყოფილა დამნაშავის თხოვნა შეწყალების შესახებ.**

ტინისხიდის ტრაგედიამ, რო-გორც ამ უბედურებას ახლა აქა-ურები უწოდებენ, არ შეიძლება მკითხველისა და საერთოდ ჩვენი საზოგადოების გულისწყრომა და შეშფოთება არ გამოიწვიოს. ეს ბუნებრივიც არის. მთელი სოფ-ლის, ხალხის, მეზობლებისა და ახლობლების თვალწინ ხდებოდა უსაფუძვლო, ეჭვიანობით გამოწ-ვეული კინკლაობა, რომელიც ხშირად გვარიან ჩხუბში გადაიზ-რდებოდა ხოლმე. ყოველივე ამან კი საბოლოოდ უდანაშაულო ადა-მიანები იმსხვერპლა.

ახლა ალბათ აქ ზოგიერთს მა-ინც სინდისი ქეჯნის და ნანობს, რომ არაფერი იღონეს ბოროტი ადამიანის ასალაგმავად. მაგრამ, გვიანღა არის თითზე კბენანი. განა ეს უბედურება მოხდებოდა, რომ ამ საკმაოდ დიდი სოფლის საზოგადოებრიობას, კომუნის-ტებს, კომკავშირელებს, სახალხო სამეურვეოს აღმასკომის მუშაკებს, დე-პუტატებს გამოეჩინათ სიფხიზ-ლე, დაკვირვებულობა, დაინტე-კოლექტივში ეწევიან მისი შრო-მისმოყვარე, შემოქმედებითად მოაზროვნე მწვრთნელები და **უწინარესად ნოდარ ახალაია.** ახალი ფორმაციის ამ სპორტულ-მა პედაგოგმა შეძლო გუნდის ვეტერანების — ამეკამად მისი ხელ-ძღვანელების **ნიაზ ძიაფშიპასა** და **სერგო კუტუბაძის** აქტიური დახმარებით დაეურმუნებინა თავი-სი გუნდის წევრები, რომ საჭიროა მეტი ვარჯიში, მეტი ენერგიის გამოვლენა მოედანზე სათანხვე-რიანი ბრძოლის დროს. დადი სა-სელექციო მუშაობა განხორციელ-და ნიჭიერი ფეხბურთელების შე-სარჩევად.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ ყველა დანარჩენი გუნდის ფონზე, „არარატისა“ და, რამდე-ნადმე, „ნეფთჩალა“ გარდა, საქარ-თველოს საუკეთესო გუნდს საკუ-თარ მოთამაშეებზე აქვს აღებული გეზი. მინდა გავიხსენო, ვინ მოუ-წევდათ თბილისელებს გარედან უმაღლეს ლიგაში გამოსვლის ათ-წლეულების მანძილზე, და სულ სამი-ოთხი, დანარჩენები სულ თავისიანები არიან — თბილისე-ლები და ქუთაისელები, სოხუმე-ლები და ბათუმელები, ფოთელე-ბი და რუსთაველები, გაგრელები და ბორჯომელები. მაგრამ ვინ არ იცის, რომ საქართველოს საბჭო-თა კავშირის მთელი ტერიტორიის კი. ვეთანხმები, რომ ასეც შეიძ-ლებოდა მომხდარიყო, მაგრამ ამ-ჯერად ხომ თბილისის „დინამოს“ შანსზე ვლაპარაკობთ, და არა კი-ევის „დინამოს“ ხელიდან გაშვე-ბულ შესაძლებლობებზე.

ვერცხლის პრიზიორთა სატურ-ნირო მაჩვენებლები ფრიად რეს-პექტაბელურია: სულ ოთხი დამა-რცხება, 13 გამარჯვება. ჩემპიონ-ზე მხოლოდ ერთით ნაკლები. გუნდს მეორე პოზიცია უკავია გატანილი გოლებით.

მაგრამ ამავე დროს გაშვებული გოლებით გუნდი ხუთ მეტოქეს ჩამორჩება, ზედმეტ ფრეებზე კი უკავე ვთქვი. **და მიუხედავად ამისა, გუნდი სეზონის გმირია, რადგან ბევრ მატჩში მან ძალიან ლამაზი, თანამედროვე თამაში გვიჩვენა.**

**აქ უდავოდ უნდა მოვიხსენიოთ მუყაითი მუშაობა, რომელსაც** ...ულ 0,3 პროცენტი უკავია, მისი მოსახლეობა კი ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის ორიოდე პროცენტს შეადგენს.

**მაშ რამდენად ძლიერი უნდა იყოს რესპუბლიკაში ფეხბურთის განვითარების ტრადიციები, რაიო-გად უნდა უყვარდეთ ქართველ უმაწვილებს ეს მშვენიერი თამაში, თუ გუნდი ასე ხშირად ყოფილა საბჭოთა ფეხბურთის დიდი ოჯა-ხის ლაურეატი.**

ამასთანავე გვინდა, რომ რეს-პუბლიკის სპორტკომიტეტი, საქა-ართველოს ფეხბურთის ფედერა-ცია, მის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა სპორტული საზოგადოება არა მარტო ავითარებდნენ და განამტკიცებდნენ მასობრივი ფე-ხბურთის პოზიციებს, არამედ მეტ ყურადღებასაც უთმობდნენ საქართველოს გუნდებს, რომლე-ბიც პირველ და მეორე ლიგაში

1977
სიტყვა ქართველ ფეხბურთელებზე
სეზონის გმირი

**კოლექტივში ეწევიან მისი შრო-მისმოყვარე, შემოქმედებითად მოაზროვნე მწვრთნელები და უწინარესად ნოდარ ახალაია.** ახალი ფორმაციის ამ სპორტულ-მა პედაგოგმა შეძლო გუნდის ვეტერანების — ამეკამად მისი ხელ-ძღვანელების **ნიაზ ძიაფშიპასა** და **სერგო კუტუბაძის** აქტიური დახმარებით დაეურმუნებინა თავი-სი გუნდის წევრები, რომ საჭიროა მეტი ვარჯიში, მეტი ენერგიის გამოვლენა მოედანზე სათანხვე-რიანი ბრძოლის დროს. დადი სა-სელექციო მუშაობა განხორციელ-და ნიჭიერი ფეხბურთელების შე-სარჩევად.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ ყველა დანარჩენი გუნდის ფონზე, „არარატისა“ და, რამდე-ნადმე, „ნეფთჩალა“ გარდა, საქარ-თველოს საუკეთესო გუნდს საკუ-თარ მოთამაშეებზე აქვს აღებული გეზი. მინდა გავიხსენო, ვინ მოუ-წევდათ თბილისელებს გარედან უმაღლეს ლიგაში გამოსვლის ათ-წლეულების მანძილზე, და სულ სამი-ოთხი, დანარჩენები სულ თავისიანები არიან — თბილისე-ლები და ქუთაისელები, სოხუმე-ლები და ბათუმელები, ფოთელე-ბი და რუსთაველები, გაგრელები და ბორჯომელები. მაგრამ ვინ არ იცის, რომ საქართველოს საბჭო-თა კავშირის მთელი ტერიტორიის გამოდიან. არ ვიცი, რას იტყვიან ფეხბურთის სხვა მოყვარულნი, მე კი, მაგალითად, ძალიან მწყინს, რომ ქუთაისის „ტორპედოს“ სა-სიამოვნო და თავისებური გუნდი პირველი ლიგის უღიმღამო გუნ-დად გადაიქცა. როგორც ჩანს, დროზე არ დაეხმარნენ კარგი, ნი-ჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელ-ები, თუნდაც თბილისის „დინამოს“ დუბლის ხარჯზე. ან სად გაქრა ყოფილი დიდება სოხუმი-ი და ბათუმური ფეხბურთისა, რომელმაც მარტო საქართველოს კი არა, მთელ ჩვენს სპორტს ტუავის ბურთის რთული გამოჩენილი ოსტატი შესძინა!

**ამას იმიტომ ვამბობ, რომ გულშემატკივართათვის სასიხარულო და საზეიმო დღეებში ციურიხის „გრასჰოპერსთან“ ამაღელვებელი ორთაბრძოლის მოლოდინში არ დაივიწყონ რესპუბლიკის ფეხბურთის გომავალი.**

თბილისის „დინამოს“ შესახებ საუბრის დასასრულს მინდა გადა-ვხედო კოლექტივის შემადგენლობას. იგი ნამდვილად აღმავლობის გზაზეა. 29 წლის მეკარე **გოგია** გუნდში „ბოხუცია“. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ მეკარე ნამდვილ თამაშს სწორედ ოცდაათი წლის-თვის იწყებს... 24 წლის **გაბელია** კი გუნდს უკვე ზურგს უმაგრებს და მის კარს ოსტატურად იცავს.

დაცვაში შესანიშნავად არის შერწყმული 26 წლის **ხინჩაგაშვი-ლისა** და **კანთელაძის** ვაჟკაცობა და გამოცდილება. ამ ცოტახნის-წინანდელ იუნიორებთან — მცვე-ლებთან **მუჯირთან** და **კოსტავასთან,** რომლებიც 21 წლისანი არიან და ჯერ ყველაფერი წინა აქვთ იცხოვრებამიც და სპორტ-შიც. ამ ბიჭებმა, განსაკუთრებით სეზონის დებიუტანტმა **კოსტავამ,** შეიტანეს სწორედ უაღრეს-ად თანამედროვე სტილი გუნ-დის ოცვის თამაშში, რის საჭი-როებაც მრავალი წელია იგრძნობ-ოდა.

შუა ხაზში გუნდს ჰყავს „სამი მუშკეტერი“ — მომწიფებული, გამოცდილი მოთამაშეები **ქორიძე, გ. მაჩაიძე** და გუნდის სული და გული, მისი კაპიტანი 28 წლის **მანუჩარ მაჩაიძე.** სწორედ აქ იბადება ხოლმე ბევრი საინტერესო და გონებამახვილური კომბინაცია, რომელთა საფუძველია დახვეწილი ტექნიკა და თამაშის ნიუანსების ცოდნა. მაგრამ ამ ხაზში ხომ კიდევ 22 წლის **ჩივაძე** და 23 წლის **კოპალეიშვილი** — უთუოდ პერსპექტიული მოთამაშეები ჰყავთ.

დაბოლოს, გუნდის ტრადიციული სიამაყე — თავდასხმის ხაზი. რა თქმა უნდა, 26 წლის **დავით ყიფიანი,** უთუო ლიდერი. თანამედროვე საფეხბურთო აზროვნების მოთამაშეა, რომელსაც ეროშის დაწყებაც შეუძლია და დაგვირგვინებაც, არც საკუთარ ქართნრთული სიტუაციის დროს ბურთის გამოტანა უჭირს. დავითი უყვართ ჩვენი ქვეყნის ყველა სტადიონზე. თუმცა ზოგჯერ ზედმეტ სიფიცხეს იჩენს ხოლმე...

ჩინებულად ჩაატარა სეზონის თვინიერი 25 წლის **გუცაევმა,** ნიჭიერმა და ასევე ფიცხელმა მოთამაშემ. ფრიად საინტერესოა 22 წლის **ჩელებაძე,** რომელსაც ძლიერ უყვარს და იცის კიდეც ბურთის გატანა.

და, რა თქმა უნდა, მარტო თბილისის „დინამოს“ მწვრთნელები კი არა, **ნიკიტა სიმონიანიც** დიდ იმედებს ამყარებს 20 წლის **დარასელიასა** და **შენგელიაზე.** ხომ უნდა ვიზრუნოთ 1980 წლის ოლ-მპიური ტურნირისათვის, როცა ეს ორი ქაბუკი ფეხბურთში უკვე ნამდვილი მებრძოლი იქნება. უფ-რო სწორად, უნდა იყვნენ. ჩვენ ასე გვწამს.

სეზონი დამთავრდა. თუმცა თბილისელებს ახალი საზრუნავი აქვთ, ხოლო ფეხბურთის მოლი-ონობით მოყვარულს ახალი მოლ-ოდინებანი. **და ძალიან გვინდა, რომ ჩვენი წმყვანი კლუბის ოს-ტატები მთელი პასუხისმგებლო-ბით მოეკიდონ ევროპის ჩემპიონ-ატის მომავალ შესარჩევ მატ-ჩებს, რათა არ გვინდა, რომ კვლავ გვეტკინოს გული, როგორც ეს უკანასკნელი სეზონის მანძილზე მოხდა!**

**იური ვანიკინი,**
**რუსეთის სფსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის საპატიო წევრი.**

## ძნელი მატჩი

**თბილისის** სპორტის სასა-ხლეში გრძელდება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ გაჟთა სა-კავშირო ჩემპიონატი. პირვე-ლი დღის მატჩების შედეგებს „კომუნისტი“ უკვე იუწყებოდა.

მკითხველმა იცის, რომ თბი-ლისის დინამოელებმა პირვე-ლი შეხვედრა ვილნიუსის „სტა-ტიბასთან“ მოიგეს. „სტატიბას-თან“ თამაში თბილისელებს ყოველთვის უჭირთ. გამონაკლი-სი არც ეს მატჩი გახლდათ. გარდა ამისა, მასპინძლების თამაშს უთუოდ დაღი დასცა სასტარტო ციებ-ცხელებამ. მო-თამაშეები ნერვიულობდნენ, ამან კი, ბუნებრივია, გამოიწვია შეცდომები, განსაკუთრებით გადაცემებში. ერთი სტაყვით, დაიკარგა სიზუსტე, სტუმრე-ბი კი, პირიქით, ზუსტი ტყორ-ცნით გამორჩეულნდნენ. ისინი წა-რმატებით იბრძოდნენ ფარ-ქვეშაც და პირველ ტაიმში რა-მდენჯერმე შეძლეს დაწინაურე-ბა. და მაინც „დინამო“ უფ-რო მონოლითური, ძლიერი კო-ლექტივია, უფრო მახვილგონი-ერულად თამაშობს და, თუმცა ამ მატჩში დროდადრო საფრთ-ხის წინაშეც იდგა, ეჭვი არა-ვის შეპპარვია, რომ მასპინძლე-ბი გამარჯვების სასწორს თავის მხარეზე გადახრიდნენ.

გუშინ გაიმართა მეორე დღის შეხვედრები. შედეგები ასეთია:

**„სპარტაკი“** (ლადივოს ტ ო-კი)-**რიგა** (მინსკი) — 84:83 (38:46), **„დინამო“** (თბილისი)-**„სპარტაკი“** (ლენინგრადი) — 96:81 (53:42), **„სტატიბა“** (ვილ-ნიუსი)-**ცსკა** — 87:102 (34:59).

**ტალინი.** ვეფ (რიგა)-**„დინა-მო“** (მოსკოვი) — 98:89, **„კა-ლევი“** (ტალინი)-**„სტროი ტ ე-ლი“** (კიევი) — 87:74, **„ფალ-გირისი“** (კაუნასი)-**ასკ** (რიგა) — 80:74.

**ჯ. ენუქიძე.**

**სურათზე: „დინამოსა“ და „სტატიბას“ მატჩის მომენტი.** ა. სასაკოვისა და მ. დამიჟა-შვილის ფოტო (საქინფორმი).

## ჭადრაკის ფინალი

**ვაჟთა** საკავშირო ჩემპიონატზე დამთავრდა 5 ტურის შემდეგ გადადებული პარტიები. ბაგირო-ემა მოუგო გრიგორიანს, ბალა-შოვ-ტუკმაკოვი და გულკო-ალბურ-ტი ყაიმზე შეთანხმდნენ.

გუშინ შეჯიბრების მონაწილეები ისვენებდნენ.

**მსოფლიო** ჩემპიონობის პრე-ტენდენტების ბ. სპასკისა და ვ. კორჩნოის ფინალური მატჩის მო-რიგ მეექვსე პარტიაში თეთრე-ბით თამაშობდა სპასკი. პარტია გადაიდო. გუშინ კი იგი ყაიმით დამთავრდა.

ანგარიშია 4:2 კორჩნოის სასა-რგებლოდ.

**გუშინ ჩვენი კორესპონდენტი ა. ჰიპერნაძე ლაიფციგში ტელე-ფონით ეესაუბრა მსოფლიოს ჩემ-პიონ ნონა გაფრინდაშვილს:**

ჩვენს ტურნირში დიდი ცვლილებებია — ვეტერანი უნგრელი დიდოსტატი საბო ავადმყოფობ-ის გამო ტურნირიდან გავიდა. მისი პარტიები (მათ შორის ჩემი ყაიმიც) ალარ ითვლება. ამრიგად, ბრძოლას განაგრძობს 15 მოჭადრაკე. ამიერიდან დიდოს-ტატის ბალის ნორმა ათის ნაცვლად 9 ქულა გახდა.

მეოთხე ტურიდან გადადებული პარტია ანალგაზრდა ოსტატ ჰესეს-თან (გდრ) ყაიმით დავამთავრე. მეხუთე ტურში თეთრებით ვეთა-მაშებოდი ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს, ჩეხოსლოვაკიელ დიდოსტატ სმეიკალს. ეს პარტია-ც ყაიმით დასრულდა. ჩვენმა მოჭადრაკეებმა დიდოსტატმა ლუ-ტიკოვმა და ოსტატმა პეტროსიანმა ორ-ორი უკანასკნელი შეხვე-დრა ყაიმით დასასრულეს.

**5 ტურის შემდეგ 3,5 ქულით (4 თამაშიდან) პირველი ადგილზეა ახალგაზრდა დიდოსტატი კნაკი (გდრ). მე მეორე ადგილზე ვარ, ოთხი თამაშიდან სამი ქულა მაქვს.**

მორიგ მეექვსე ტურში შავებით ვეთამაშები დიდოსტატ ლუტი-კოვს.

საუბრის დასასრულს მსოფლიოს ჩემპიონმა თქვა: ძალზე დამაშფუ-თრა ჩვენი დიდი მეცნიერის ილია ვეკუას გარდაცვალების ცნობამ. იგი ქადრაკის დიდი გულშემატკი-ვარიც იყო. გთხოვთ სამძიმარი გადასცეთ მის ოჯახს.

**ლვოვში** ქალთა ჩემპიონა-ტზე დამთავრდა პირველი სამი ტურის შემდეგ გადადებული პარტიები. პირველი გამარჯვება იზეიმა მსოფლიოს ჩემპიონობის ნორჩმა პრეტენდენტმა ჩიბურ-დანიძემ, რომელმაც სძლია ოსტა-ტობის კანდიდატ კოლოიარცევა-ს (პენზა), თბილისელ მოჭადრაკეს გული არ გაუტეხია წინა პარტიამ პიარნპუურთან (ტალინი), სადაც მას სამი ზედმეტი პაიკი ჰქონდა და ერთი მოუფიქრებელი სვლის შემდეგ იძულებული გახდა ყაიმს დასჯერებოდა.

ნორჩი იოსელიანის პარტია მსოფლიოს ჩემპიონობის ამასწინა-ნდელ პრეტენდენტ დიდოსტატ ახმილოვსკაიასთან (კრასნოიარსკი) გადადებული იყო დაახლოებით თანაბარ პოზიციაში და მალე ყაიმით დამთავრდა. თქმა არ უნდა, იოსელიანს კარგი სტარტი აქვს — სამ ცხობილ დიდოსტატთან 1,5 ქულა მოაგროვა. კვლავ დაუმთავრებელი დარჩა ზაიცევი (მოსკოვი)-ალექსანდროვის პარტია.

ყველაზე მძიმე დარტყმა ალიოხინმან (ეიორონეკი) იგემა — მან წააგო ერთბაშად სამი პარტია: ეპშტეინთან (გორკი), კისლოვასთან (ლენინგრადის ოლქი) და ლატინსკაიასთან (ლვოვი); სემიონოვამ (კიევი) დაამარცხა კოლოიარცევა, კოლოიარცევამ — პიარნპუუ.

**სამი ტურის შემდეგ ყველაზე მეტი — ორ-ორი ქულა ერთბაშად ეკუთვნა მოჭადრაკეებს პირველი სამი ტურის შემდეგ გადადებული პარტიები. პირველი გამარჯვება იზეიმა მსოფლიოს ჩემპიონობის ნორჩმა პრეტენდენტმა მაია ჩიბურდანიძე, დიდოსტატი ლიტინსკაია, საერთაშორისო ოსტატები ფომინა (ტალინი), სემიონოვა, ოსტატი მოროზოვა (ოდესა) და ოსტატობის კანდიდატი კოლოიარცევა. დიდოსტატ ნანა ალექსანდრიას და საერთაშორისო ოსტატ ეპშტეინს 1,5-1,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონ, საერთაშორისო ოსტატ ახშარუმოვასა (მოსკოვი) და ოსტატ იოსელიანს — 1,5-1,5 ქულა თითოეულს.**

**გ. გამრეკელი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი, კინოსტუდია „ქართული ფილმი“, სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია მწუხარებით იუწყებიან, რომ 98 წლისა გარდაცვალა პირველი ქართველი კინემატოგრაფისტი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი

ვასილ იაკობის ძე ამაშუკელი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა 8 დეკემბერს ქ. ქუთაისში.

„კომუნისტის“ მკითხველებს!
ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 9 დეკემბერს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი და ქუთაისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭო იუწყებიან, რომ გარდაცვალა უხუცესი ქართველი კინემატოგრაფისტი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი

ვასილ იაკობის ძე ამაშუკელი.

ტელევიზია

7 დეკემბერი
პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. ნოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ადამიანი საფრენ ზოლზე“, 11.25 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მისი აღმატებულების ადიუტანტი“ (მესამე სერია), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა, 17.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.55 — შვავსწავლოთ გერმანული ენა, 18.25 — მოსწავლეთათვის — კონცერტი „საუნჯე“ (ფერადი), 18.55 — „პარტიული ცხოვრება“ — „სიტყვას ითხოვს კომუნისტი“, 19.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — სსრ კავშირის პირველობა ჯალათბურთში: „დინამო“ (თბილისი)-„სპარტაკი“ (ვლადივოსტოკი). პირდაპირი რეპორტაჟი თბილისის სპორტს სასახლიდან, 21.30 — უკრავენ მარინე მდივანი და თამარ ბაბარაშვილი (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, 22.50 — ფეხბურთი „უეფას“ თასზე. „გრასჰოპერსი“ (ციურიხი, შვეიცარია)-„დინამო“ (თბილისი). ტრანსლაცია შვეიცარიიდან (ფერადი). შესვენების დროს — ახალი ამბები (მოსკოვიდან).

თეატრი

7 დეკემბერი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — გორდა; შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — თავისუფალი თემა; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ქარაბანს ქალი მოჰყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ВЕГЕТАРИАНСКИЙ ПРОГРАММА

ВЕГЕТАРИАНСКИЙ ПРОГРАММА

ВЕГЕТАРИАНСКИЙ ПРОГРАММА

ВЕГЕТАРИАНСКИЙ ПРОГРАММА

ВЕГЕТАРИАНСКИЙ ПРОГРАММА

ВЕГЕТАРИАНСКИЙ ПРОГРАММА

ВЕГЕТАРИАНСКИЙ ПРОГРАММА

ВЕГЕТАРИАНСКИЙ ПРОГРАММА

ВЕГЕТАРИАНСКИЙ ПРОГРАММА

ВЕГЕТАРИАНСКИЙ ПРОГРАММА

ВЕГЕТАРИАНСКИЙ ПРОГРАММА

ВЕГЕТАРИАНСКИЙ ПРОГРАММА

ВЕГЕТАРИАНСКИЙ ПРОГРАММА

ВЕГЕТАРИАНСКИЙ ПРОГРАММА

ВЕГЕТАРИАНСКИЙ ПРОГРАММА

ВЕГЕТАРИАНСКИЙ ПРОГРАММА

ВЕГЕТАРИАНСКИЙ ПРОГРАММА

ВЕГЕТАРИАНСКИЙ ПРОГРАММА

ВЕГЕТАРИАНСКИЙ 